# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 16 აპრილი 2003 №67 (1838) | ფასი 50 თეთრი


# ეს აღარ იქნება




# შეფამ საქართველოს დანა არ აპატია



## რუსული საქმე თბილისში და ნიონში გაკეთდა

## ივო შუშაკი ვალერი გაზაევს 30 აპრილს ცარიელ „ლოკომოტივზე" დაუხვდება

იხილეთ მეორე გვერდი



*რუსები თბილისში ჩამოვლენ, ითამაშებენ და უკანვე დაბრუნდებიან, დაბრუნდებიან ისე, რომ მათ ქართველი ქომაგი საქმეში ვერ ნახავს — 30 აპრილის საქართველო — რუსეთის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდება — აი, ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო უეფას სადისციპლინო კომიტეტმა, რომლის სხდომაც გუშინ შვეიცარიულ ნიონში შედგა. ერთი ქართველი ვაი-ქომაგის დაუფიქრებელმა საქციელმა ქართული ფეხბურთისთვის უმნიშვნელოვანესი დღე — 30 აპრილი შეიწირა*

# უეფამ სიჩუმით დაგვსაჯა

## 30 აპრილის საქართველო — რუსეთი უმაყურებლოდ ჩაივლის



**...29 მარტს** საქართველო ირლანდიას მასპინძლობდა. მეორე ტაიმი, ანგარიში 0:1. მასპინძლები ჯარიმის დასარტყმელად ემზადებიან, ირლანდიელთა კარის წინ ხალხმრავლობაა, ფეხბურთელები ერთმანეთში ირევიან, კარს უკან კი ირევა ერთი „ქომაგის" გონება. ის ჯაყვას ხსნის და მოედანზე ისვრის. დემეტრაძე და ცქიტიშვილი ფაქტის მიჩქმალვას ცდილობენ, თუმცა ირლანდიელებს დანა უკვე ხელთ აქვთ და საჩვენებლად არბიტრთან მიაქვთ. გახსნილი დანა სტუმარ კილბეინს მხარზე მოხვდა, ბედად ფეხბურთელი არ დაშავებულა. ის ჯარიმა კი ქართველთა გოლით დასრულდა. დასრულდა მატჩიც, იწერება არბიტრისა და უეფას დელეგატის პატაკი — ფაქტი დადასტურებულია — მოედანზე დანა ისროლეს. სად ვცხოვრობთ?... მოგვიანებით მომხდარზე ალაპარაკდა მთელი მსოფლიო. უეფას მოსალოდნელი სანქციების თაობაზე გამოითქვა უამრავი ვარაუდი — ფულადი ჯარიმა, სტადიონის დისკვალიფიკაცია, მომდევნო მატჩის ნეიტრალურ ქვეყანაში ჩატარება... უეფა დუმდა, რუსებს კი სალაპარაკო მიეცათ და იმედი, რომ როგორმე საქართველოსთან თბილისში მატჩს თავს დააღწევდნენ. შემდეგი მატჩი ახლოვდებოდა, ბილეთები იყიდებოდა, შვეიცარიელები უკვე თბილისში იყვნენ, საფეხბურთო საქართველო კი უეფას სანქციის მოლოდინში. უეფა ციტნოტშია და აცხადებს, საქართველო — შვეიცარია 2 აპრილს თბილისში გაიმართება, ირლანდიასთან მომხდარ ინციდენტზე კი 15 აპრილს ვიმსჯელებთო.

იმსჯელეს და დაადგინეს: „30 აპრილის შესარჩევ მატჩს რუსეთის წინააღმდეგ საქართველო დახურულ კარს მიღმა ჩაატარებს" — ნათქვამია უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებაში, რომლის გაპროტესტების უფლებაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას პარასკევს შუადღემდე აქვს.

ესეც ჩვენი სანქცია — არც ფულადი ჯარიმა, არც ნეიტრალური ქვეყანა, არც სტადიონის დისკვალიფიკაცია და ამ დროს ყველაფერი ერთად. უეფამ ჩვენთვის ყველაზე სამწუხარო გადაწყვეტილება მიიღო — დისკვალიფიკაცია ქომაგს!

რუსები თბილისში ჩამოვლენ, ითამაშებენ და უკანვე დაბრუნდებიან, დაბრუნდებიან, თუმცა, მათდა გასახარად, აღარ გაჰყვებათ მთავარი, ის, რის გამოც თბილისში ჩამოსვლას გაურბოდნენ — ქართული ჟინით აგუგუნებული ტრიბუნების ხმა. რუსები ადრეც ოქტომბერში გვსტუმრობდნენ და მაშინ მათ მეხსიერებაში ჩაშლილი მატჩი და წყვდიადი ჩარჩა, ახლა მოვლენ და... სიჩუმე დახვდებათ. ჩვენი ფეხბურთიც ხომ ზუსტად ასეთია — ჩაბნელებული, არაფრისმთქმელი.

რაღა დაგვრჩენია, იქნებ შევძლოთ და ამ სიჩუმითაც ვუთხრათ მეტოქეს სათქმელი, ვაგრძნობინოთ ჩვენი ძალა...

*იგო შუშკო, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:*

— ძალიან სამწუხაროა, რომ ცარიელი ტრიბუნების წინ მოგვიწევს თამაში, ფეხბურთი ხომ ქომაგით ფასობს. კარგად ვიცი, რას ნიშნავს რუსებთან მატჩი ქართველი ხალხისთვის და ნაკრებს ყველაზე მეტად ახლა სჭირდებოდა ქომაგობა, თუმცა რა გაეწყობა, უეფამ დაგვსაჯა, ჩვენ კი ეს ენერგიას გაგვიათმაგებს. საქართველოს ნაკრები 30 აპრილს სწორედ ქართველი ქომაგისთვის, მის გასახარად უფრო მონდომებით, უფრო თავდადებით ითამაშებს. ასეთი დისკვალიფიკაცია გუნდს მეტ ძალას შემატებს.

*ტარიელ ლებანიძე, რაგბის ზის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე:*

— რა თქმა უნდა, სამწუხარო ფაქტი მოხდა. ამჟამად ვერაფერს გეტყვით. ფეხბურთის ფედერაციასთან ჩვენ გვქონდა ხელშეკრულება ირლანდიასთან, შვეიცარიასთან და რუსეთთან მატჩების ორგანიზაციის თაობაზე. ახლა კი, რადგანაც უეფასგან ასეთი მკაცრი სანქცია მივიღეთ, ვფიქრობ, რომ ფედერაციასთან ჩვენი ხელშეკრულება გადასახედია.

*ვალერი ჩოლარია, სფფ-ის გენერალური მდივანი:*

— უეფას გადაწყვეტილებას არ გავაპროტესტებთ. ეს რომ გავაკეთოთ, შესაძლოა კიდევ უფრო მკაცრად დავისაჯოთ. რაც დავიმსახურეთ, ის მივიღეთ. ყველანი ერთნაირად ვართ დამნაშავენი.

*გიორგი ნემსაძე:*

— ქართველ ქომაგთან ერთად გულდაწყვეტილი ვარ. ჩვენთვის ძალიან ცუდი გადაწყვეტილება მიიღო უეფამ, არ ველოდი. ახლა საქართველოსა და რუსეთის შანსები გათანაბრდა. ცარიელი ტრიბუნების წინ ძალიან გაგვიჭირდება.

*ზურაბ ხიზანიშვილი:*

— ვფიქრობდი, რომ უეფა რუსეთთან თბილისში ჩვეულებრივ გვათამაშებდა ან ნეიტრალურ მოედანზე. ასეთ განაჩენს ვერც კი წარმოვიდგენდი. უქომაგოდ რაა ფეხბურთი? რა ფასია აქვს უქომაგოდ თამაშს? ახლა რუსეთთან მატჩი ვარჯიშს უფრო დაემსგავსება.

*გიორგი დემეტრაძე:*

— თბილისში უქომაგოდ თამაშს ნეიტრალური მოედანი სჯობდა. ჩვენი ერთ-ერთი უპირატესობა ჩვენი ქომაგია და ახლა უეფამ ესეც წაგვართვა. რაღა გამოვიდა, უნდა ვივარჯიშოთ? ფეხბურთი ხომ ხალხისთვისაა მოგონილი.

**კობა ინასარიძე**



იგო შუშკო



ვალერი ჩოლარია



გიორგი დემეტრაძე (№15) ბევრს კი ეცადა, მაგრამ ბერძენ მსაჯს კიროს ვასარასს დანა ვერ დაუმალა

საქართველოს 14 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

# 4 ტური

## I–VI ადგილები

ფოთი. 15 აპრილი. 16 საათი. ფაზისი. 1 000 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 0:0 სიონი

**კოლხეთი:** მ. გვასალია, ქუტიძე, მ. ქობულაძე (ნარსია 40), გოროზია, კრასოვსკი (კვერნაძე 69), გაბიდაური, შ. ლონდაძე, დარსანია (თ. მაღაზია 46), ბაბუა, ტუღუში, გონჩაროვი
*სათადარიგონი:* ბერაია; მარგალიტაძე, გოზალიშვილი, მ. ფილია
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**სიონი:** ბათიაშვილი, ბაქრაძე, გოგიტაძე, დევიძე (ე. გვასალია 44), სვანაძე, დაუშვილი, დათუაძე (სვანიძე 90), წივწივაძე, გაბისკირია, ფანჩულიძე, ირემაშვილი
*სათადარიგო:* ვოლკოვი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** დაუშვილი (35), გაბიდაური (43)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი);

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** გ. სორდია

# ფილიამ გვასალიას გვასალია დაახვედრა

**დათო დანელია** ფოთიდან

**თოთხმეტი** ფეხბურთელით ეწვია „სიონი" „ფაზისს". თემურ მახარაძემ ბოლომდე ალბათ მაინც არ გარისკა და ფოთში ძირითადის ორი მოთამაშე, დაცვის ბურჯი ბურნაძე და შემტევი ლევან შავგულიძე არ იახლა. წინ „ტორპედოსთან" სათასო ნახევარფინალური მატჩია და ზედმეტ გართულებებს მოერიდნენ ბოლნისელები.

სტუმართათვის თამაში უტრავმოდ მაინც არ დასრულებულა, პირველი ტაიმის მიწურულს მახარაძეს უკანახაზელი დევიძე დაუშავდა და მწვრთნელმაც იძულებითი შეცვლა განახორციელა, ფეხნატკენ დევიძეს ყოფილი კოლხი ელდარ გვასალია შეუნაცვლა. საერთოდაც, გუშინ სოსო ფილიას ხუთი ნაშეგირდალი უტევდა. წივწივაძეს, ფანჩულიძეს, ელდარ გვასალიას, დაუშვილს და სვანაძეს რამდენიმე თვის წინ ფოთელი გულშემატკივარი ქომაგობდა.

პრობლემები თამაშამდე არც მასპინძლებს მოჰკლებიათ. „კოლხეთს" ძირითადი მეკარე ლაბაძე დისკვალიფიცირებული ჰყავდა, სათადარიგო ჩემიამ ვარჯიშზე მუხლი დაიშავა და ფილიაც იძულებული შეიქნა დახმარება პენსიაზე გასულ მამუკა გვასალიასთვის ეთხოვა. მანაც მშობლიური კლუბისთვის კიდევ ერთხელ გარჯა არ დაიზარა და გუშინდელი 90 წუთიც მშვიდობიანად გადააგორა.



მამუკა გვასალია

პირველი ტაიმის ბოლოს კოლხებს ქობულაძეც დაუშავდათ. ტანმაღალმა უკანახაზელმა ფეხი იტკინა და ფილიამაც მიხეილს ნარსია ამჯობინა.

თამაში დიდად საინტერესო და დაძაბული არ ყოფილა. უხვად არც საგოლე მომენტები შექმნილა სტუმარ-მასპინძლის კართან და არც ფრეს დაუწყვეტია მაინცდამაინც მოპაექრეთათვის გული.

ქუთაისი. 15 აპრილი. 16 საათი. ტორპედო. 4 500 (ტევადობა 19 500)

### ტორპედო 0:0 ვიტ ჯორჯია

**ტორპედო:** ქანტურია, მახვილაძე, თოდუა, ხვადაგიანი, ლ. ჭელიძე, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე, პორომინი, იონანიძე, გამეზარდაშვილი (გ. ჩხეტიანი 66), ზ. ქუთათელაძე (ზირაქიშვილი 46)
*სათადარიგონი:* სტურუა; ფლენტი, ლადაძე, ჭელიშვილი
**მწვრთნელი:** ალექსანდრ შტელინი

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, ლ. მერებაშვილი (კვახაძე 67), გველესიანი, მარცვალაძე (ფეიქრიშვილი 85), ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, დ. დოლიძე, ადამია (დათუნაიშვილი 88), გ. გონაშვილი, მელქაძე
*სათადარიგონი:* ქურაძე; ზაზაშვილი, ბოლქვაძე, ე. მერებაშვილი
**მწვრთნელი:** ჟანი კარნევალი

**მსაჯები:** ი. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ი. კახიანი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** გ. ძამუკაშვილი

**ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 8-3; **კარისკენ დარტყმა:** 6-4; **კარში დარტყმა:** 4-5; **თამაშგარე:** 2-1

### ინგლისი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

პორტსმუთი 1:0 ბარნლი
შეფილდ იუნ. 1:0 ნოტინგემი
უოლსოლი 0:0 ძოვენთრი
რედინგი 5:1 პრესტონი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ძრიუ 1:1 ბრისტოლი

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები

კარლაილი 1:1 იორკი
როჩდეილი 0:1 კიდერმინსტერი
შრიუსბერი 2:3 მაკლსფილდი

### ბელგია

თასის 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი

ბეერსხოტი 0:0 *სინტ ტრუიდენი* (0:1)

### შვედეთი

მეორე ტური

ენკიოპინგი 1:1 ლანდსკრონა

### იტალია

თასის 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი

*მილანი* 2:1 პერუჯა (0:0)

### საფრანგეთი

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

*სოშო* 3:2დ.დ. (2:2) მეცი

### ჰოლანდია

თასის 1/2 ფინალი

*უტრეხტი* 2:1 პსვ ეინდჰოვენი

### შვეიცარია

თასის 1/2 ფინალი

*ბაზელი* 3:0 შაფჰაუზენი

# ფანიაშვილის ნახელავმა ცაკარიასი გაახელა

მამუკა კვანტალიანი

ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ერთ რამეზე შევთანხმდეთ, გუშინდელმა თბილისურმა დერბიმ მოლოდინი ვერ გაამართლა და უინტერესო სანახავი გამოდგა. ვერც „დინამომ" და ვერც „ლოკომოტივმა" ის თამაში ვერ გვაჩვენეს, რასაც მოველოდით და რისი ხილვაც გვეწადა. მართალია, ბოლო წუთებამდე იგრძნობოდა დაძაბულობა, იყო გოლები და გვარიანი ინციდენტიც, მაგრამ საფეხბურთო წრეებში ამიერიდან მხოლოდ ის მომენტიღა თუ გაახსენდებათ, რკინიგზელმა ონიანმა „დინამოს" გოლი რომ გაუტანა და მსაჯმა ფანიაშვილმა სამართლიანად თუ უსამართლოდ არ ჩათვალა.

დიახ, არავის გაახსენდება, რომ „დინამო" გარკვეულ უპირატესობას ფლობდა, 85-ე წუთამდე სულ ცოტა, სამჯერ შეეძლო ანგარიშის გაორმაგება, რომ დღემდე ვერ გაიხსნა „ლოკომოტივის" შავი ნანა და გუნდს თითქმის არაფერში არგია. ისე, არც პერუელი სალასარი აღმოჩნდა დიდი ხვითო. იქნებ არც ის თქვან, საქართველოს ორ საუკეთესო კლუბს, „დინამოს" და „ლოკომოტივს" გუნდობამდე ჯერაც ბევრი რომ აკლიათ. ალბათ, ჩემპიონატის ბოლომდე მხოლოდ იმაზე იკამათებენ, ონიანმა გოლი წესების დაცვით გაიტანა თუ არა.

...85-ე წუთზე პერუელმა სალასარმა, მოედანზე შესვენების შემდეგ რომ გამოჩნდა, ერთადერთი სასარგებლო რამ გააკეთა და მასპინძელთა საჯარიმოში შეჭრილ ონიანს პასი არ დაუგვიანა. რონინი ტანით წინ გადაიხარა, ბურთი მკერდით თუ ხელით გაისწორა, ნაბიჯით წინ წაიწია და გვარამაძეს შორეულ კუთხეში გაუტანა. ის იყო, რკინიგზელებს უნდა გაეხარათ, რომ ფანიაშვილმაც ჩასტვინა და „ლოკომოტივის" აღმაფრენა სასოწარკვეთით შეიცვალა.



ლუის ცაკარიასი

პირადად მე გადაჭრით ვერაფერს დავამტკიცებ. ონიანი ბურთის მიღების მომენტში ჩვენსკენ ზურგით იდგა და დასავლეთ ტრიბუნაზე მოკალათებულებმა ზუსტად ვერც გავარკვიეთ, რკინიგზელმა ხელი დაიხმარა თუ მკერდით დაიურვა ბურთი. დარჩა მხოლოდ ეჭვები და ვარაუდები, რასაც აქვე მოგახსენებთ და მსაჯისთვის ვერაფერი შეღავათი იქნება.

ონიანმა ბურთი ისე მიიღო, გაისწორა და კარშიც ისე დაარტყა, რომ ფანიაშვილის სასტვენი დუმდა. რეაგირება არც თანამსაჯ მამუკა ელიკაშვილს მოუხდენია, რომელსაც შეეძლო, წესის დარღვევა დაენახა. განგაში არც დინამოელებს დაუწყიათ, არიქა, მეტოქემ ხელით ითამაშაო.

უპირველესად ფანიაშვილის რამდენიმეწამიანი პაუზა გახდა საკამათო. მსაჯმა მას შემდეგ ჩასტვინა, ბურთი კარში რომ იხილაო, აღშფოთებულები იყვნენ კლუბის ხელმძღვანელები და თამაშის სანახავად მოსულმა ფედერაციის თავკაცობამ რკინიგზელთაგან არაერთი საყვედურიც მიიღო.

დღეიდან ფედერაციაში იმ ინციდენტის გარჩევას შეუდგებიან. ვიდეოფირსაც არაერთხელ დაატრიალებენ, რომელზეც ალბათ გარკვევით არაფერი ჩანს,





სერგო ორბელაძეს მეკარეობა გაძევებად დაუჯდა, „ლოკომოტივს" კი გოლად

თბილისი. 15 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 3:0 ლოკომოტივი

1:0 ანჩაბაძე (16პ), 2:0 ალექსიძე (88), 3:0 ბობოხიძე (90)

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ:** გვარამაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, ბურდული (მ. ბობოხიძე 63), დარასელია (კანდელაკი 80), ალექსიძე (ა. ხაჩიძე 88)
*სათადარიგონი:* ზოიძე; ვაშაკიძე, ჯაკობია, გ. მ. მიქაძე
**ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ:** იგო შუშაკი

**ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ:** ლომაია, ბალიაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, რ. ონიანი, კვარაცხელია, ქიქველიშვილი, სირაძე (კაიდარაშვილი 74), ნანა, მ. ბურნაძე (სალასარი 46), სოსელია
*სათადარიგონი:* ივარდავა; გ. ონიანი, ზ. ლაცაბიძე, რუხია
**ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ:** ლუის ცაკარიასი

**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ:** კაიდარაშვილი (85), ონიანი (85)

**ᲒᲐᲫᲔᲕᲔᲑᲐ:** ორბელაძე (15)

**ᲛᲡᲐᲯᲘ:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ:** ა. მილჩენკო; **ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ:** რ. შოთაძე

**ჯარიმა:** 25-16; **კუთხური:** 4-1; **კარისკენ დარტყმა:** 7-3; **კარში დარტყმა:** 6-2; **თამაშგარე:** 3-2

კამათი გაგრძელდება და ვინ იცის, იქნებ დანამდვილებით ვერც ვერასდროს შევიტყოთ, ფანიაშვილი შეცდა თუ ცამდე მართალი იყო.

არადა, „ლოკომოტივს" თამაში უიმედოდ სულაც არ დაუწყია. საგოლედაც პირველად სტუმრებმა გაიწიეს გვარამაძის კარისკენ. სირაძემ დრიბლინგით შეაღწია „დინამოს" საჯარიმოში, მცველთაგანაც გათავისუფლდა, მაგრამ ბოლო მომენტში ბურთს ცაცია რიგიანად ვერ მოუქნია და დარტყმული გვარამაძეს მოუგორდა.

წუთის შემდეგ „დინამო" დაწინაურებას და რკინიგზელი ფეხბურთელის გაძევებას ერთად ზეიმობდა. ანჩაბაძემ მოედნის სიღრმიდან კარლოსს გაუჭრა ზუსტი პასი. და როჩამ, რომლის პატივსაცემადაც „დინამოს" ფანობა ბრაზილიის დროშას აფრიალებდა, ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა. სტუმართა მეკარე ლომაია ჩაწოლებულს კი შესწვდა, მაგრამ ბურთი პირდაპირ ალექსიძისკენ მოიგერია. იქნებ ბევრს არც ახსოვს, როდის დაარტყა რატიმ მარჯვენა ფეხით მეტოქის კარში. გუშინ კი ეს ზუსტად გამოუვიდა. რკინიგზელები პენალტის და წითელი ბარათის საფასურად სერგო ორბელაძემ „გადაარჩინა". აკრობატულ ნახტომში ბურთი ხელით მოიგერია.

ორბელაძე უფრო გამოცდილი მცველი რომ ყოფილიყო, ალექსიძის დარტყმულზე თავს არ მოიკლავდა, მართალია, „დინამო" დაწინაურდებოდა, მაგრამ თერთმეტკაცა „ლოკომოტივს" თამაშის ხსნის მეტი შანსიც შერჩებოდა.

ანჩაბაძემ საპენალტე ნიშნულზე ბურთი აუღელვებლად გაასწორა და თავისიანებიც ასევე მშვიდად დააწინაურა. ლომაიამ დარტყმულის მიმართულება ვერ გამოიცნო, თავად მარჯვნივ გადახტა, ხოლო გოლი მარცხენა კუთხეში გავიდა.

დაწინაურებულ „დინამოს" თამაში არ გაუმწვავებია, დიდად არც კაცნაკლული მეტოქე შეუწუხებია. ათგზის ჩემპიონი წვრილ-წვრილი ჯარიმებით ისედაც უტემპო თამაშს კიდევ უფრო ანელებდა და ტაიმიც მშვიდად მიჰყავდა დასასრულისკენ.

„ლოკომოტივი" ანგარიშის გაქვითვას ცდილობდა, მაგრამ მასპინძელს ბევრსაც ვერაფერს გამორჩა. 41-ე წუთზე ბუცზე გახსნილი თასმის შეკვრით გართული კარლოსის წამიერი უყურადღებობით სირაძეს შეეძლო ესარგებლა, მაგრამ რკინიგზელს დარტყმა ისევ არ გამოუვიდა.

პირველი ტაიმის შემდეგ ცაკარიასმა ნანას ძოძუაშვილი და პერუელი სალასარი შეაშველა, მაგრამ თამაშის განახლებისთანავე ლამის გოლი გაუშვეს მისმა შეგირდებმა. ონიანმა ბურთი უკან მიუგორა ლომაიას, რასაც კინაღამ ალექსიძემ მიუსწრო, მაგრამ იმ მომენტში ივარგა ლომაიამ, დინამოელს ფეხებში ჩაუხტა და ხიფათიც განმუხტა.

რკინიგზელები ისევ წინ იწევდნენ, საგოლე მომენტებს კი მასპინძლები ქმნიდნენ და ორჯერ ბობოხიძეს, ერთხელაც დარასელიას შეეძლოთ დარჩენილი დრო ფორმალობად ექციათ.

მერე იყო ონიანის ის მომენტი და არჩათვლილი გოლი, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. 87-ე წუთზე კი აშკარად შეცდა ლევან ფანიაშვილი, როცა „დინამოს" საჯარიმოში სტუმართა მხრიდან წესების დარღვევაზე თვალი დახუჭა. სალუქვაძემ მასპინძელი მცველის აშკარად დაჭაქანა და ანგარიშის გასათანაბრებლად ერთი ზუსტი პასიც კმაროდა, მაგრამ გუშინ სტუმარს არაფერში არ უმართლებდა.

ბოლო სამ წუთში „დინამომ" ორჯერ იხეირა. ჯერ ალექსიძემ თავით, ხოლო შემდეგ ბობოხიძემ ფეხით ლომაიას მარჯვენა კუთხეში შედევრიანად დაურტყეს და ვინ იცის, იქნებ „დინამომ" საჩემპიონო სამი ქულაც კი გაიფორმა.

პრესკონფერენციაზე პერუელს ემოციებმა სძლიეს, ხოლო ხორვატი, როგორც ყოველთვის, გაწონასწორებული, თუმცა ჩაფიქრებულიც ჩანდა.

***ლუის ცაკარიასი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:*** მე ვიცი, რომ თავით, მკერდით და ხელით თამაში სხვადასხვა რამაა და ფეხბურთში მხოლოდ უკანასკნელი იკრძალება. ჩვენ კარგად ვიბრძოლეთ, მაგრამ მსაჯმა ჩემი გუნდი ერთიანად მოშალა. „დინამო" ისედაც კარგი გუნდია და მსაჯების დახმარებას სულაც არ საჭიროებს. ბოდიშს ვიხდი, ხმას რომ ავუწიე, უსამართლოდ არჩათვლილმა გოლმა წყობიდან გამომიყვანა.

***იგო შუშკო, „დინამოს" მწვრთნელი:*** მნიშვნელოვანი თამაში იყო და ფეხბურთელებიც გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდნენ. დაწინაურების შემდეგ ჩვენ რიცხობრივ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წუთებამდე ვერ გამოვიყენეთ. მადლობას ვუხდი ორივე გუნდის ფეხბურთელებს, მათ თავდადებით იბრძოლეს. ვფიქრობ, თამაშმა ქომაგთა მოლოდინი გაამართლა.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ᲓᲘᲜᲐᲛᲝ | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 35 |
| ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 32 |
| ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 31 |
| ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ | 4 | 1 | 0 | 3 | 7:6 | 28 |
| ᲡᲘᲝᲜᲘ | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 22 |
| ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ | 4 | 0 | 3 | 1 | 0:6 | 18 |

| ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ | |
|---|---|
| 18 - ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ | *ვიტ ჯორჯია* |
| 17 - ᲘᲝᲜᲐᲜᲘᲫᲔ | *ტორპედო* |
| 13 - ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐ | *დინამო* |
| 9 - ᲙᲝᲨᲙᲐᲫᲔ | *სიონი* |
| ᲨᲐᲕᲒᲣᲚᲘᲫᲔ | *სიონი* |

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# გადაეწყვეთ!
## გუსევმა საქართველოს ფეხი აარიდა

### რუსეთი

**რუსეთის** ნაკრების ნახევარმცველი როლან გუსევი შაბათს, პრემიერლიგის მეოთხე ტურში „დინამო" — ცსკა-ს მატჩში მძიმედ დაშავდა. არმიული კლუბის ლიდერი ორ კვირაზე მეტხანს ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას — ასეთია სამედიცინო გამოკვლევის შედეგი.

ამ ხნის განმავლობაში როლან გუსევი ცსკა-ს „როსტოვთან" და ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან" მატჩებში ვერ დაეხმარება. თუმცა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი მისი საქართველო — რუსეთის ევროშესარჩევ ჯახში არყოფნაა. გადაწყვეტილი ამბავია — ვალერი გაზაევის ამქარი თბილისს როლან გუსევის გარეშე ეწვევა. მოგეხსენებათ, 30 აპრილს გადადებული და ხორვატი ივო შუშაკის სადებიუტო მატჩია...

ამგვარად, რუსებმა უკვე ერთი მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადეს. გარდა იმისა, რომ როლან გუსევი რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, ის ვალერი გაზაევის ფავორიტიცაა და ცსკა-ს და ნაკრების თამაშიც მწვრთნელს სწორედ მასზე აქვს აწყობილი. ასე რომ, გადაწყობა მოგიწევთ, ვალერი გიორგევიჩ...

**ძაბა შალამბერიძე**



ვალერი გაზაევი როლან გუსევს მოისყლისებს

# იფიქრე საკუთარ თავზე
## მიხეილ აშვეთიას უმაყურებლოდ თბილისი არ ესიამოვნა

*რუსეთთან მოახლოებული მატჩის წინ ჩვენს ყურადღებას ამ ქვეყნის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველებიც იმსახურებენ. მათ შორის გამორჩეული კი ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" თავდამსხმელი მიხეილ აშვეთიაა. რუსულმა პრემიერლიგამ უკვე ოთხი ტური ჩაყლაპა და ჩვენებურს ჯერაც არ გაუტანია გოლი, რაც მისთვის ერთობ უჩვეულოა, თუმცა საამისოდ მიხელ აშვეთიას არგუმენტები გააჩნია. როგორი? ამას და სხვა ამბებსაც ოსერი კლუბის შემტევთან ინტერვიუში წაიკითხავთ*

**— ჩემპიონატი კარგად დაიწყეთ, მაგრამ ბოლო ტურში ყაზანის „რუბინთან" 0:4 დამარცხდით.**

— რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია. ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გინდა.

**— კი მაგრამ, 0:4 ლიგის დებიუტანტთან მეტისმეტი ხომ არ არის?**

— გეთანხმები. ასე არ უნდა შევრცხვენილიყავით, თუმცა ანგარიში ზუსტად არ ასახავს გუნდებს შორის თანაფარდობას. ყაზანელებმა სულ ოთხჯერ დაარტყეს ჩვენს კარში და ოთხჯერვე გაიტანეს, თან აქედან ერთი პენალტით. ჩვენ კი რამდენიმე რეალური მომენტი ვერ გამოვიყენეთ.

**— რა გითხრათ რევაზ ძოძუაშვილმა მატჩის შემდეგ?**

— ცხადია, მარცხით განაწყენებული იყო, მაგრამ ეს ახლა არავის ახსოვს. წინ მოსკოვის „ლოკომოტივთან" რთული მატჩი გველის და სერიოზულად ვემზადებით.

**— გოლი ჯერაც ვერ გაიტანე. ასე რატომ გაგიჭირდა?**

— აქამდე სულ იმაზე ვფიქრობდი, სხვას გავატანინო მეთქი. ახლა საკუთარ თავს უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობ. ისე, მომენტები თითქმის ყველა მატჩში მქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენე. „რუბინთანაც" ორი-სამი საგოლე შანსი გავანიავე.

**— სათამაშო პოზიცია ხომ არ შეგიცვლია?**

— ჩვეულთან შედარებით ოდნავ უკან ვთამაშობ.

**— მოსკოვის „ლოკომოტივთან" ურთულესი მატჩი გელით...**

— ძალიან გაგვიჭირდება, თუმცა იმედი მაქვს, წარმატებულად ვითამაშებთ. თან ახლა ზურაბ მენთეშაშვილიც გამოჯანმრთელდა. ის „სპარტაკ-ალანიასთვის" საკმაო ძალაა.

**— ნაკრების სათავეში ივო შუშაკის მისვლაზე რას იტყვი?**

— კონკრეტულს ვერაფერს. გამიგია, კარგი მწვრთნელიაო, ვნახოთ, როგორი შედეგები ექნება.

**— ხვალ ივო შუშაკმა რუსეთთან მატჩისთვის 25-კაციანი სია უნდა გამოაცხადოს. როგორ ფიქრობ, შენი გვარიც იქნება ამ სიაში?**

— ნაღდად არ ვიცი. მწვრთნელს ალბათ ექნება გაკეთებული გარკვეული მონახაზი. თუ გამომიძახებს, ცხადია, თავს არ დავზოგავ და ვეცდები, გავუმართლო.

**— რუსეთთან მატჩი საქართველოსთვის მაინც განსაკუთრებული ხასიათისაა. მანდაური ამბები კარგად გეცოდინება, რას ამბობენ 30 აპრილის თამაშზე?**

— ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ რუსებს ამ თამაშის ეშინიათ. აქ არაერთგვაროვანი აზრია თბილისში ჩამოსვლაზე. ჰო, მართლა, დისკვალიფიკაციის საკითხი გადაწყდა?

**— დღეს გაირკვა, რომ რუსებს მაყურებლის გარეშე დავხვდებით.**

— მართლა? მაგას სჯობდა, საერთოდ სხვაგან გვეთამაშა... არა, ვხუმრობ. რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში თბილისში თამაში გვირჩევნია, მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ მეტოქესთან გულშემატკივართა მხარდაჭერა დაგვაკლდება, თანაც მაინცდამაინც რუსეთთან.

**— ასეთ დროს მაინც შეეშინდებათ რუსებს?**

— სწორედ ამაზე გააკეთა აქცენტი ერთ-ერთ ინტერვიუში ვალერი გაზაევმა. ის ამ საკითხის გადაწყვეტას ელოდა. ამაზე მეტად, ალბათ, ვერც დავისჯებოდით.

**ძაბა შალამბერიძე**



# დღეს შუშაკის აღმასკომია

**დღეს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა ჩატარდება. სხდომის წევრები რამდენიმე შედარებით უმნიშვნელო საკითხს განიხილავენ. დღის მთავარი თემა კი ივო შუშაკის თანაშემწეების დანიშვნაა. ხორვატი სპეციალისტი სწორედ დღეს დაასახელებს იმ პირთა ვინაობას, ვინც საქართველოს ნაკრების გაწვრთნაში დაეხმარება.

აღმასკომის დასრულებისთანავე ივო შუშაკი პრესკონფერენციას ჩაატარებს და იმ 25 ფეხბურთელის ვინაობას გამოაცხადებს, რომელთაც 30 აპრილს რუსეთთან ევროშესარჩევის გადადებული მატჩისთვის გამოიძახებს.

# წავალ, აბა, რას ვიზამ?!
## გიორგი დეკანოსიძე გერმანელი არ არის



გიორგი დეკანოსიძემ „ფიურტიდან" წასვლა გადაწყვიტა

— სეზონს „ფიურტში" ჩავამთავრებ და მერე ახალ გუნდს მოვძებნი. მომბეზრდა ამდენი უთამაშებლობა — გვითხრა გუშინ გიორგი დეკანოსიძემ, როცა გერმანიაში შევეხმიანეთ.

მეორე ბუნდესლიგური „ფიურტისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი დღემდე ამაოდ ცდილობს, მთავარი მწვრთნელის ნდობა მოიპოვოს.

ამ სეზონში ჩვენებურმა „ფიურტში" მხოლოდ ორჯერ ითამაშა და ისიც შეცვლებზე. ამის გამო გიორგი დეკანოსიძე წრეებსშორის პერიოდშიც აპირებდა დროებით სხვა კლუბში გადასვლას და მსურველიც ჰყავდა — მანჰაიმის „ვალდჰოფი", თუმცა „ფიურტის" თავკაცმა ეუგენ ჰახმა ქვა აგდო და თავი შეუშვირა, ეს ბიჭი თავად მჭირდებაო.

როგორც გითხარით, ასე არ მოხდა და დეკანოსიძეს დღემდე სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უწევს.

— ვერ გავიგე, რას ითხოვენ ჩემგან. ხან ერთს მეუბნებიან, ხან მეორეს. რატომღაც მგონია, რომ რადგან ქართველი ვარ, სხვანაირი თვალით მიყურებენ. ყოველ შემთხვევაში, რასაც გერმანელს აპატიებენ, იგივეზე შესაძლოა მკაცრად მისაყვედურონ. სეზონი დამთავრდეს და მერე კლუბის ხელმძღვანელობას აუცილებლად დაველაპარაკები. მართალია, ჯერჯერობით ვარიანტები არ მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, ახალი კლუბის მოძებნა არ გამიჭირდება — გვითხრა გიორგი დეკანოსიძემ.

ამის ფონზე გიორგი დეკანოსიძე ერთი მეტად სასიხარულო ამბავი შეიტყო — კვირას გიორგის პატარა ნინო შეეძინა.

**ძაბა შალამბერიძე**

# ხომერიკს აარაუს დასრულება და გოლების დაწყება უხარია

**„აარაუდან"** დაბალლიგელ „ვოლენში" გადაბარგებული ლევან ხომერიკი ახალ კლუბს კარგად შეეწყო და ამ უქმეებზე უკვე მეორე გოლის გატანაც მოასწრო. „ვოლენის" მეტოქე „შაფჰაუზენი" იყო. ჩვენებურის გუნდმა 4:0 დაამარცხა სტუმრები და სატურნირო მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა.

— საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს დავხვდი და მარცხენა ფეხით ზუსტად დავარტყი. ჩემი გოლით ანგარიში 3:0 გახდა — გვითხრა გუშინ ლევან ხომერიკმა.

გარდა ამისა, ვოლენელებმა ორჯერ სწორედ ქართველი თავდამხსმელის საგოლე პასებით იხეირეს. ასეთი წარმატებული თამაშის ფონზე ხომერიკი მომავალზეც დაფიქრებულა:

— მთავარია, სეზონი ასევე კარგად ჩავამთავრო. მერე „აარაუსთან" კონტრაქტი მიმთავრდება და თავისუფალი აგენტი გავხდები, რაც ახალი კლუბის მოძებნაში დამეხმარება. „ვოლენში" დარჩენაზე ნაღდად არ ვფიქრობ. ამაზე მაღალი დონის კლუბში თამაში შემიძლია და იმედი მაქვს, მაისის ბოლოს ასეც იქნება. მთავარია ჯანმრთელობამ არ დამალალატოს. ისე, ამდენი უთამაშებლობის მერე ფორმის აღდგენას ასე მალე არ ველოდი, მაგრამ საბედნიეროდ, ახალ კლუბს მალე შევეგუე — იმედიანადაა ლევან ხომერიკი.

როგორც მიხვდით, „ვოლენის" ქართველ ფეხბურთელს საკუთარ თამაშზე მეტად „აარაუსთან" კონტრაქტის დასრულება უხარია. ალბათ, მართალიცაა, ამ კლუბში ხომ ხომერიკს ნახევარ წელზე მეტი გაუცდა.

**ძაბა შალამბერიძე**

# ინგლისი. პრემიერლიგა. ლონდონი. „ჰაიბერი". დღეს



არსენ ვენგერი

# არსენალი VS მანჩესტერი

*ამ საღამოს, „ჰაიბერიზე", უკვე ჩამობნელებულზე, ერთმანეთის პირისპირ გავლენ „არსენალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი". უკვე რამდენიმე წელიწადია, ინგლისის ჩემპიონს ამ ორ გუნდს შორის ჭიდილი არკვევს. დღევანდელი შეხვედრაც სათასო თამაშს ჰგავს.*

*„არსენალი" ლამის მთელს წელიწადს წინ იყო და მხოლოდ ათი დღეა, რაც „მანჩესტერი" დაეწია, ამ უქმეებზე კი გადაუსწრო კიდეც, თუმცა, „მეთოფეებს" თამაშით ნაკლები აქვთ. შარშან „არსენალმა" დუბლი მოიგო და წლეულსაც ამას ეშურება. სერ ალექს ფერგიუსონს კი ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში უტიტულოდ ყოფნა წარმოუდგენლად ეჩვენება.*

*გუნდები ერთმანეთზე დაგეშილან და „ჰაიბერიზე" დიდი გრძნობები, სიავე და ნამდვილზე ნამდვილი, უნამდვილესი და საუკეთესო ინგლისური ფეხბურთი იქნება.*



ალექს ფერგიუსონი

# დიდი გრძნობები, სიავე და ნამდვილზე ნამდვილი

**შარშან**, დაახლოებით ამ დროს, „მანჩესტერი" და „არსენალი" „ოლდ ტრეფორდზე" შეხვდნენ ერთმანეთს და თავისი არსით ის თამაში საჩემპიონო იყო. მაშინ ამათი შეხვედრა სეზონის ბოლოსწინა ტურისა იყო და „არსენალი" ორი ქულით უსწრებდა „მანჩესტერს". ჰოდა, ცხადი იყო, თუ ლონდონელები მოიგებდნენ, ჩემპიონებიც გახდებოდნენ. ის თამაში „მეთოფეებმა" 1:0 მოიგეს.

დღეს ინგლისური პრემიერლიგის მთავარ თამაშს „ჰაიბერი" მასპინძლობს. შარშანდელივით დარწმუნებით ვერ ვიტყვით, დღეს გამარჯვებული ჩემპიონი გახდებაო, თუმც შეხვედრის მნიშვნელობას ეს ფაქტი ვერ აკნინებს. შეგვიძლია ასე ვთქვათ: დღეს გამარჯვებული ალბათ ჩემპიონი გახდება.

„იუნაიტედს" 33 თამაშიდან 70 ქულა აქვს. „არსენალი" სამი ქულით ჩამორჩება, თუმცა ერთი მატჩი მარაგში აქვს. ამასთანავე, „მეთოფეებს" ბურთების უკეთესი შეფარდებითაც აქვთ უპირატესობა და ისიც ანგარიშგასაწევია, რომ არსენ ვენგერის გუნდი ზედიზედ მეორედ უმიზნებს დუბლს — „არსენალი" ხომ ასოციაციის თასის ფინალში გავიდა, სადაც „საუთჰემპტონს" ხვდება.

პირველ წრეში, დეკემბერში, „იუნაიტედმა" შინ 2:0 მოუგო მთავარ მეტოქეს, მაგრამ იმავ „ოლდ ტრეფორდზე", ორი თვის მერე, ასოციაციის თასის მეხუთე ეტაპის გადათამაშებაში, იმავე ანგარიშით დამარცხდა.

„იუნაიტედს" „ჰაიბერიზე" 1999 წლის აგვისტოს მერე არ მოუგია და ვინძლო, სწორედ ახლა აქვს საამისოდ საუკეთესო შანსი. ამას მანჩესტერელთა ბოლო პრემიერლიგური თამაშებიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებების გათვალისწინებით მოგახსენებთ. „იუნაიტედმა" ბოლო ხუთი თამაში მოიგო, 16 გოლი გაიტანა და მხოლოდ სამი გაუშვა. ამათგან გამორჩეული, ცხადია, წინა უქმეებზე „ნიუკასლის" ძლევა გახლდათ მისსავე „სენტ ჯეიმსიზ პარკზე", სადაც „იუნაიტედი" 0:1-ს აგებდა, მერე კი ექვსი გოლი გაიტანა და „ნიუკასლი" საჩემპიონო ბრძოლას ჩამოაშორა.

„თქმაც არ უნდა, ეს სეზონის უმთავრესი მატჩია, რომელსაც ლიდერად მყოფნი ვხვდებით" — თქვა „არსენალთან" შეხვედრის თაობაზე სერ ალექს ფერგიუსონმა „ნიუკასლის" დამარცხებისთანავე.

ერთ ხანს ეჭვს იწვევდა როი კინის, უესლი ბრაუნის, რაიან გიგზისა და ფაბიენ ბარტეზის თამაში. ისინი მთლად ჯანმრთელად ვერ იყვნენ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, თამაშს შეძლებენ. „იუნაიტედის" მთავარმეგოლე რუუდ ვან ნისტელროის კი მომჯობინება არც სჭირდებოდა, ის ბრწყინვალე ფორმაშია, რისი დასტურიც ბოლო ექვს მატჩში გატანილი ცხრა გოლია.

„არსენალის" მენეჯერმა კი ეგებ კარგადაც შეისწავლა ის გზა, რითაც „რეალმა" საჩემპიონთალიგო ბრძოლაში „იუნაიტედს" 3:1 მოუგო. „სანტიაგო ბერნაბეუზე" ბრაუნი და რიო ფერდინანდი ერთად შორს იყვნენ საუკეთესო თამაშისგან და ვინძლო, „არსენალი" ამათი შეცდომების გამოყენებას ეცადოს.

შანსები ორმოცდაათი ორმოცდაათზეაო, იწინასწარმეტყველა „მეთოფეთა" კაპიტანმა პატრიკ ვიეირამ, რომელსაც კვირას, ასოციაციის თასის ნახევარფინალური მატჩისას ფარსაგი რამ შეემთხვა, მუხლის ძვლისძვლი ტრავმა გაუმიზეზდა. მაგრამ მოედნის შუაგულში ორი კაპიტნის, კინისა და ვიეირას შეხვდის მოსალოდნელთა გულების გასახარად ვთქვათ, რომ ვიეირა თამაშს ალბათ შეძლებს.

„არსენალს" შემტევი ნახევარმცველი რობერ პირესიც ეყოლება, ვინაც კოჭის ტკივილის გამო ლონდონელთა წინა ორი თამაში გამოტოვა.

კვირას, „შეფილდ იუნაიტედთან" არსენ ვენგერმა მთავარმეგოლეები, ტიერი ანრი და დენის ბერხკამპი დაასვენა (მოგვიანებით, მოსათელადღა შეუშვა სათამაშოდ) და რა მიხვედრა უნდა, რომ ამგვარად „იუნაიტედთან" შეხლისთვის ფორვარდთა სრული მზადყოფნისთვის მოიქცა.

„იუნაიტედი" კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ მისი დამარცხება შეგვიძლია, თუნდაც იმიტომ, რომ ადრე არაერთხელ დაგვჯაბნეს" — თქვა ვენგერმა. თავში ნახსენები შარშანდელი მატჩის მეგოლე სილვენ ვილტორდმა კი დაიქადნა, ახლაც გავიტანო.

**ირაკლი ნინიძე**



როი კინს და პატრიკ ვიეირას ძველი ანგარიშები აქვთ



ფრედი ლიუნგბერგი დაბადების დღეზე საჩუქარს ელოდება

## სავარაუდო შემადგენლობები

**არსენალი**

სიმენი, ლორენი, კიოუნი, კემპბელი, ეშლი კოული, ვილტორდი, ვიეირა, ლიუნგბერგი, პირესი, ბერხკამპი, ანრი

**მანჩესტერი**

ბარტეზი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი, ბექემი, კინი, ბათი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი

## არსენალი

ბოლო ოთხ შეხვედრაში არ დამარცხებულა
(2 პრემიერლიგაში, 2 ასოციაციის თასზე).
ზედიზედ ხუთი საშინაო პრემიერლიგური მატჩი მოიგო.
„ჰაიბერიზე" ბოლო 16 თამაშში დაუმარცხებელია.
პრემიერლიგაში საუკეთესო თავდასხმა ჰყავს:
32 მატჩში 67 გოლი გაიტანა.

## მანჩესტერი

პრემიერლიგაში ბოლო ხუთი მატჩი მოიგო.
ზედიზედ ცამეტ პრემიერლიგურ შეხვედრაში არ დამარცხებულა.
ბოლო ექვსი სტუმრად ჩატარებული მატჩი არ წაუგია.
პრემიერლიგაში საუკეთესო დაცვა ჰყავს:
33 მატჩში 29 გოლი გაუშვა.

თუ პოლ სქოულზმა მოახერხა და ორი ბურთი გაიტანა,
საკლუბო კარიერაში 100 გოლი დაუგროვდება.
დღევანდელი მატჩი „იუნაიტედის"
მაისურით ნიკი ბათისთვის 350-ე იქნება.
გარი ნევილს სასტარტო შემადგენლობაში 249-ჯერ უთამაშია.
თუ დღეს სასტარტო თერთმეტეულში მოხვდა,
საიუბილეო მატჩი გამოვა.
ფრედი ლიუნგბერგს დღეს დაბადების დღე აქვს, 26 წლის გახდა.

## ურთიერთშეხვედრები

| | | არსენალი | მანჩესტერი | ფრე |
|---|---|---|---|---|
| პრემიერლიგაში | 21 | 7 | 9 | 5 |
| სულ | 186 | 73 | 75 | 38 |



2002 წლის 8 მაისი. მანჩესტერი 0:1 არსენალი. რაიან გიგზმა სულ ტყუილად იფრინა, ლონდონელებმა სილვენ ვილტორდის გოლით მოიგეს

# ინგლისში ათწლეულის მეფე კორსიკელია

*ქმეების შემდეგ ლონდონში ერიკ კანტონა ჩავიდა — 37 წლის ლეგენდარულ ფრანგს საპატიო ჯილდო გადასცეს — პრემიერლიგის 90-იანი წლების საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი.*

*დაჯილდოების ცერემონიაზე კანტონამ ყბა მოაღო და ბლომად ილაპარაკა თითქმის ყველაფერზე.*

*„მანჩესტერ იუნაიტედის" მოუწყვეტელი ვარსკვლავის უმთავრესი სალაპარაკო სერ ალექს ფერგიუსონი შეიქნა.*



## სერ ალექს, თქვენ მოკვდებით ოლდ ტრეფორდზე!

## კანტონას არ უყვარს მსუქანი მწვრთნელები და მადრიდის რეალი

კანტონამ წინასწარმეტყველებით დაიწყო და ბრძანა, ფერგიუსონი მანამ გაწვრთნის „იუნაიტედს", სანამ არ მოკვდებაო. ამ თემატურ განცხადებას კი ვარიაციები მოჰყოლა.

„ფერგიუსონი უბერებელი ბობ რობსონის მაგალითს გაჰყვება. მას უყვარს ფეხბურთი და დარწმუნებული ვარ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" სათადარიგო სკამზე მოკვდება".

კანტონას ჰკითხეს, ვინძლო ასე არ მოხდეს და „მანჩესტერ იუნაიტედი" რომელიმე ფრანგ მწვრთნელს ჩააბარონ, ამაზე რა აზრის ბრძანდებითო.

„შესაძლოა, სხვა მენეჯერებზეც არის საუბარი და მათ შორის ფრანგებზეც, მაგრამ ფერგიუსონი ის კაცია, ვინც ძალიან ბევრს ჰმატებს ფეხბურთს. ის მანიაკალურია ვარჯიშების დროს და ასევე იქცევა, როცა ჭამს, სვამს თუ სძინავს. ინგლისში კი ზოგიერთი მწვრთნელი სულაც არ ჰგავს მას — ისინი არიან მსუქნები და ბევრ ლუდს მიირთმევენ. როგორ უნდა სცენ პატივი ფეხბურთელებმა ასეთ მწვრთნელებს და თან არ დალიონ და ფორმაში იყვნენ?"

კორსიკელმა კანტონამ კიდევ უფრო ღრმად შეტოპა და თავადაც მანიაკალური შეიქნა სერ ალექსის ქებაში.

„ის სრულყოფილი მწვრთნელია. სწორედ მისთვის, ფეხბურთელისთვისაა საჭირო, რომ ასეთი მენეჯერი გიყვარდეს და პატივს სცემდე მას ასი პროცენტით. ფერგიუსონს ცხოვრებაში ფეხბურთის გარდა სხვა რამეებიც უყვარს, მაგრამ ფეხბურთი მისი ცხოვრებაა. უფერგიუსონოდ ფეხბურთს ყოველთვის რაღაც მოაკლდება".

ათწლეულის საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელს ბრიტანელმა ჟურნალისტებმა „არსენალი" — „მანჩესტერის" დღევანდელ მატჩზეც სთხოვეს აზრის გამოთქმა.

„ვგრძნობ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" „არსენალზე" უფრო ძლიერი მენტალური ძალა აქვს. ვფიქრობ, მატჩი ფრედ დამთავრდება, მაგრამ საბოლოოდ „მანჩესტერი" გახდება ჩემპიონი. „იუნაიტედი" ჩემი წასვლის შემდეგაც ფლობს მკვლელის ინსტინქტს."

კანტონამ ნათქვამს ისიც დაამატა, ამ მატჩის შედეგს დიდად განაპირობებს მოედნის შუაგულისთვის ბრძოლაო. მერე როი კინის ქებას მოჰყვა და არც თავმდაბლობა დაივიწყა.

„გამიკვირდა, რომ ის ამ გამოკითხვაში არ ფიგურირებდა — როი კინი ინგლისში მოთამაშე უცხოელთაგან საუკეთესო გახლდათ. ის არის ლიდერი, გააქვს გოლები, ასრულებს შრომატევად დაცვით ფუნქციებს — ის ყველაფერია".

ჭორები დევიდ ბექემის მადრიდის „რეალში" გადასვლის თაობაზე — კანტონა ამაზეც ალაპარაკეს.

„ინგლისში კლუბები ერთმანეთს ძალიან დიდ პატივს სცემენ, ევროპაში კი ასე არ არის. მადრიდის „რეალი" გულჩათხრობილია და ამ ამბების გაგებამ სულაც არ გამაკვირვა. მათ ეს იმისთვის გააკეთეს, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის ბექემისთვის გონება აემღვრიათ, მაგრამ დევიდი საკმაოდ ჭკვიანია, რათა მათ ნება არ დართოს მასზე ზემოქმედებისთვის".

ბოლოს ფიცხ ერიკს ის ინციდენტი გაახსენეს, როცა შუა თამაშში გულშემატკივარს მიეჭრა და კუნ-ფუს ილეთი ჩაუტარა, რაც შვიდთვიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა.

„არანაირი სინანული არ გამაჩნია. თუ ხალხი სამართლიანად მეპყრობა, მე მათ ყოველთვის კარგად ვეპყრობი" — კვლავაც გაუტეხელია კანტონა, რომელმაც თამაშს ექვსი წლის წინ დაანება თავი.

**დავით თავართქილაძე**



ერიკ კანტონასთვის ალექს ფერგიუსონი სამაგალითო მწვრთნელია

# რაიანის ასული ლიბერტი

## ბექემი ყიდის, გიგზი თხოულობს

**სანამ** ნახევარი ამერიკა ერაყშია და იქაურების გაცივილურებას ცდილობს, მეორე ნახევარი „ბექზმანიას" შეუპყრია. ეს გუშინწინ დადასტურდა, როცა სხვადასხვა ქალაქის სალაროებში „მანჩესტერ იუნაიტედის" საგაზაფხულო ტურნეს ბილეთები გამოჩნდა. უფრო სწორად, ბილეთები სალაროებამდე არავინ მიუშვა, რადგან ინტერნეტით რეკორდულ დროში გასაღდა.

არადა, ინგლისური კლუბის გარდა ამ ზაფხულს შტატებში არაერთი სხვა ევროპული გრანდი ჩადის, მაგრამ სწორედ „მანჩესტერის" თამაშებზე ატყდა ერთი ვაი-უშველებელი: ფილადელფიაში დაგეგმილი „იუნაიტედი" — „ბარსელონას" მატჩის 66 ათასი ბილეთი ზუსტად ერთ საათში გაიყიდა, ხოლო ნიუ იორკში მცხოვრებმა ფანებმა ორ საათში გააქრეს „იუნაიტედი" — „იუვენტუსის" 80 ათასი კონტრამარკა. ასეთი შედეგით როკ-ლეგენდის, ბრიუს სპრინგსტინის კონცერტებიც კი ვერ დაიკვეხნის.

მიმომხილველები თვლიან, რომ ეს ძირითადად დევიდ ბექემის პოპულარობის დამსახურებაა და ამბობენ, რომ თუ ინგლისელ ნახევარმცველს აშშ-შიც ისეთივე სარეკლამო კამპანიას გაუჩაღებენ, როგორსაც იაპონიაში, ბექჰემ-ადამსის ოჯახი, სულ მცირე, 100 მილიონი გირვანქით გამდიდრდება. შეგახსენებთ, რომ ამჟამად ბექემს კვირაში 95 ათასი გირვანქა აქვს გასამრჯელოდ, რეკლამებით კი წელიწადში დაახლოებით 11 მილიონს იღებს.

მაგდენით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ საწუწუნო არაფერი აქვს დევიდის თანაკლუბელ რაიან გიგზს, რომელიც გასულ კვირას მამა გახდა. დაგეგმილზე ორი თვით ადრე დაბადებულ გოგონას მშობლებმა ლიბერტი დაარქვეს (რაც თავისუფლებას ნიშნავს), შემოკლებით კი ლიბის ეძახიან. მიზეზი? როგორც გიგზის აწ უკვე სასიმამრო (რაიანმა სამშობიაროში მყოფ გელფრენდს 20 ათას გირვანქიანი ბეჭედი აჩუქა და ხელი სთხოვა) ამბობს, ლიბერტი გადასარევი სახელია, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რაც სპარსეთის ყურეში მოხდა.

ლიბი გიგზი სწორედ სადამ ჰუსეინის რეჟიმის და მთავარი ძეგლის დამხობის დღეს დაიბადა.

**გიგა ძოწახიძე**





სტეისი კუკი რაიან გიგზმა სამშობიაროში დანიშნა



დევიდ ბექემს ამერიკაში სულმოუთქმელად ელიან

# ინგლისელთა ფრანგული ინტერესი

## ლივერპულს დიუგარი უნდა, მანჩესტერს რონალდინიო

რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან „მანჩესტერ იუნაიტედს" და „ლივერპულს", დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ახლა ერთ დეტალს დავამატებთ: პრემიერლიგის ორივე გუნდი საფრანგეთთან დაკავშირებულ სატრანსფერო ოპერაციას გეგმავს. კერძოდ, „ლივერპული", ნუ გაიკვირვებთ და, ცნობილი ვეტერანის, კრისტოფ დიუგარის შეძენით არის დაინტერესებული, ხოლო მანჩესტერელებს „პარი სენ ჟერმენისგან" რონალდინიო მონდომებიათ.

დიუგარი „ბირმინგემ სიტიშია" „გასესხებული" და სეზონი რომ დასრულდება მშობლიურ „ბორდოში" უნდა დაბრუნდეს. ბოლო ტურში, „სანდერლენდის" წინააღმდეგ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ბირმინგემელთა სასარგებლოდ თავისი პირველი გოლი გაიტანა, რაც უკვე იმას ნიშნავს, რომ იგი დიდი შედეგიანობით არ გამოირჩევა, მაგრამ მიუხედავად ამისა ინგლისში მისი გადაბირებით ბევრი გუნდი ყოფილა დაინტერესებული. დავძენთ, რომ არც თავად დიუგარია სხვაგან გადაბარგების წინააღმდეგი.

„მანჩესტერ იუნაიტედის" გენერალური დირექტორი პიტერ კინიონი და „პარი სენ ჟერმენის" პრეზიდენტი, ლორან პერპერი კი, ვაჭრობენ, ოღონდ, როგორც ირკვევა ფასზე ვერ შეთანხმებულან — ინგლისელები 25 მილიონ ევროს გადიან, პარიზელები კი 45 მილიონს ითხოვენ.

ცნობისთვის: რონალდინიოს შეძენით დაინტერესებულია „იუვენტუსიც", ოღონდ „მანჩესტერისა" არ იყოს, ისიც 20-25 მილიონ ევროს იძლევა. ამბობენ, ბრაზილიელს გული უფრო ინგლისისკენ მიუწევსო.

**პაპუნა ძიძია**



რონალდინიოს „მანჩესტერში" გადასვლაზე ისევ ალაპარაკდნენ

*რუსეთის საგადასახადო პოლიციის ფედერალურმა სამსახურმა „სპარტაკის“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ფედერალებმა ექვსი წლის წინანდელი ამბავი „გააცოცხლეს“*

# გააღეთ, პოლიციაა!

## შვიდ მილიონს შვეიცარიაში ეძინა

1997 წელს მოსკოვის „სპარტაკისა“ და რუსეთის საუკეთესო მოთამაშე დმიტრი ალენიჩევი „რომამ“ შვიდ მილიონ დოლარად შეიძინა. იტალიურმა კლუბმა მოსკოველთა თხოვნით ფული შვეიცარიის ბანკში ნაწილ-ნაწილ გადარიცხა და თანხა იქიდან საბოლოოდ რუსეთში უნდა მოხვედრილიყო. აღმოჩნდა, რომ „სპარტაკმა“ შვიდი მილიონიდან ბიუჯეტში გადასახადი მილიონ ნახევარი შეიტყაპუნა და ფედერალურმა სამსახურმაც მიჩქმალული ამბავი გამოუჩხრიკა. თუ დანაშაული დაუმტკიცდათ, „სპარტაკის“ იმჟამინდელ ხელმძღვანელებს ვირის აბანო არ ასცდებათ.

რუსეთში კლუბების ფინანსური საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. უმეტეს ფეხბურთელთა ხელფასები და სატრანსფერო თანხები ცხრა ბეჭდის ქვეშ იმალება. ამის ფონზე „სპარტაკის“ საქმის გამოქექვა მით უფრო უცნაურია.

დმიტრი ალენიჩევის „რომაში“ გადასვლასთან ოთხი ადამიანია დაკავშირებული. „სპარტაკის“ მაშინდელი პრეზიდენტი ოლეგ რომანცევი, ვიცე-პრეზიდენტი გრეგორი ესაულენკო, გენერალური დირექტორი იური ზავარზინი და მთავარი ბუღალტერი პაველ პანასენკო. ძველი შემადგენლობიდან დღეს კლუბში მხოლოდ ოლეგ რომანცევი დარჩა. გრიგორი ესაულენკომ თანამდებობა მიატოვა, იური ზავარზინი და პაველ პანასენკო კი მოსკოვის „დინამოში“ მუშაობენ.

გაზეთ „იზვესტიას“ ცნობით, რუსეთის გენპროკურორის მოადგილემ იური ბირიუკოვმა „სპარტაკის“ წინააღმდეგ საქმის აღძვრას დაახლოებით ერთი თვის წინ საკუთარი ხელმოწერით მწვანე შუქი აუნთო. „სპარტაკისა“ და „დინამოს“ წარმომადგენლები, ცხადია, ოლეგ რომანცევისა და იური ზავარზინის ბრალეულობას კატეგორიულად უარყოფენ. „სახალხო გუნდის“ პრესმდივანმა ალექსანდრე ზინინმა გაიკვირვა: „კლუბში ოფიციალური წერილი ჩვენს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ არ მოსულა“.

„სპარტაკის“ ახლანდელი პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო ამტკიცებს, რომ რომანცევი 1998-ში კლუბის პრეზიდენტი კი იყო, მაგრამ ფინანსებში არ გარეულა და ხელი არც სატრანსფერო საბუთებზე მოუწერიაო.

ჩერვიჩენკოს „დინამოს“ წარმომადგენელმაც კვერი დაუკრა: „იური ზავარზინის („სპარტაკის“ ყოფილი გენდირექტორი) ხელმოწერას ვერც ერთ საბუთზე ვერ ნახავთ, რადგან ალენიჩევის რომში გადასვლის დროს იგი კლუბში ახალი მისული იყო“.

ფედერალური სამსახურის მიერ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, 7 მილიონი დოლარი იტალიელებმა სამ ნაწილად გადაიხადეს. ჯერ 2-2, მერე კი დანარჩენი სამი. მათივე თქმით, არც ერთი ცენტი რუსეთში არ შესულა და თუ მაინც შეაღწია, მხოლოდ „შავი“ გზით. საფეხბურთო კლუბ „სპარტაკის“ ბუღალტრულ წიგნებში ზემოთაღნიშნული თანხა არსად არაა გატარებული. გამოვიდა, რომ დმიტრი ალენიჩევი, რომელიც ახლა „პორტუში“ თამაშობს, მოსკოველებმა რომაელებს მუქთად დაუთმეს.

საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის წარმომადგენელმა ბრძანა, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ და „სპარტაკის“ ბოსებს სასამართლოებში სირბილი აუცილებლად მოუწევთ.

აქვე ორი კვირის წინანდელი ცნკა — „სპარტაკის“ მატჩის გახსენება უადგილო ნამდვილად არ იქნება. მაშინ „სპარტაკის“ კარში საეჭვო თერთმეტმეტრიანი დაინიშნა და ანდრეი ჩერვიჩენკომ თქვა, ჩემი გუნდის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება, რომლის მეთაურიც ვიაჩესლავ კოლოსკოვიაო. „ვინ ამოქექა ეს ამბავი ახლა? — გაცხარდა ჩერვიჩენკო 7 მილიონის გამო — მე ვიცი, ვინც და ჭკვიანი კაცი ადვილად მიხვდება. კლუბში ალენიჩევის კონტრაქტთან დაკავშირებული საბუთის ნასახიც კი არ არის. „სპარტაკმა“ ბოლო წლებში სამართლებრივი ფორმა რამდენჯერმე შეიცვალა და ექვსი წლის წინანდელ გუნდთან არაფერი აკავშირებს“.



ოლეგ რომანცევი

**მაშა ხუციშვილი**

---

„**მილანში**“ ცუდი ამბავია: ანდრეა პირლოს მუხლის ტრავმამ სეზონი დაამთავრებინა.

მილანელი ნახევარმცველი ერთი კვირის წინ, ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩისას, „ამსტერდამ არენაზე“ დაშავდა. თავდაპირველად, სახელდახელო შემოწმებისას, ექიმებმა საგანგაშო ვერაფერი შენიშნეს და კლუბის უფროსობა დაიმედეს, უცბად დავაყენებთ ფეხზეო. მაგრამ განმეორებითმა, საგულდაგულო გამოკვლევამ ექიმებს აზრი შეაცვლევინა და ახლა ამბობენ, 30-40 დღის განმავლობაში პირლოს იმედი აღარ გქონდეთო. 30-40 დღეში კი, მოგეხსენებათ, სეზონიც დასრულდება.

ანდრეა პირლო „მილანისთვის“ მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მაგრამ მარტო ის რომ იყოს დაშავებული, კლუბს კიდევ რა უშავდა. შეგახსენებთ, რომ იმავე მატჩში, „აიაქსთან“, დაიმტვრა კლარენს ზეედორფი, ხოლო კაპიტან პაოლო მალდინის წინა უქმეებზე მილანური დერბისას, ცხვირი გაუტყდა. თუმცა პირლოსა და ზეედორფისგან განსხვავებით, მალდინი „აიაქსთან“ საპასუხო მატჩში თამაშს ალბათ შეძლებს.

## ზემდორფს პირლოც მიუწვა



# კლაუსმა დაიწყო, ჰიორსტერი დაასრულებს

ლევერკუზენის „ბაიერის“ დროებითმა თავკაცმა თომას ჰიორსტერმა თავისი დრო მოჭამა. კლაუს ტოპმიოლერის შემცვლელმა გუნდში ორი თვე იმუშავა და შვიდ მატჩში ათი ქულა მოაგროვა. ჰიორსტერმა „შტუტგარტთან“ მარცხის შემდეგ წასვლა გადაწყვიტა და ალბათ არც დააკავებენ.

„მე რეგიონალლიგელთა კარგი თამაში ვნახე — ირონიულად აღნიშნა ლევერკუზენელთა მენეჯერმა რაინ კალმუნდმა. ვერ გეტყვით, მომავალ ტურში „ბაიერს“ ვინ უთავკაცებს. რაც შეეხება ჰიორსტერს, მის ბედს უახლოეს დღეებში გადავწყვეტთ“.

გერმანული საინფორმაციო წყაროების თანახმად, ლევერკუზენელები ამჟამად ლეგენდარული უდო ლატეკის კანდიდატურას განიხილავენ, რომელიც მიუნხენის „ბაიერნსაც“ წვრთნიდა. 68 წლის სპეციალისტს სამწვრთნელო კარიერაში ბუნდესლიგა 14-ჯერ მოუგია. შეიძლება, უდო ლატეკს იურგენ კოლერი დაეხმაროს, რომელიც ამასწინათ ლევერკუზენის „ბაიერის“ სპორტულ დირექტორად დანიშნეს.

გუშინვე ცნობილი გახდა რომ, თომას ჰიორსტერი სეზონის ბოლომდე „ლევერკუზენს“ გაწვრთნის.

**მაშა ხუციშვილი**



თომას ჰიორსტერი

---

## ფეხბურთის რუპორიდან



**ჰოლანდიელ** თავდამსხმელ პატრიკ კლუივერტს ტურინის „იუვენტუსი“ ეპატიჟება. „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელები მზად არიან, ზაფხულში თავის ბარსელონელ კოლეგებთან ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებები წამოიწყონ. კატალონიური გრანდის შეფთა პოზიცია უცნობია, თუმც თავად კლუივერტი კატეგორიულად აცხადებს, რომ მას „ბარსელონაში“ სურს დარჩენა: „იუვენტუსის“ გარდა სერია A-ს სხვა და პრემიერლიგის კლუბებიც მეპატიჟებიან, მაგრამ მე „ბარსაში“ მსურს დარჩენა, მივეჩვიე, მიყვარს კლუბი და ქალაქი, პატივს ვცემ ქომაგებს და მათაც ვუყვარვარ. ერთი სიტყვით, თუ „ბარსელონამ“ არ ისურვა ჩემი გაშვება, გარემოს და გუნდის გამოცვლელი ნაღდად არ ვარ.“

**არგენტინელ ფორვარდზე, 29 წლის კლაუდიო ლოპესზე თურმე ორი კლუბი, ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ესპანური „ვალენსია“ ნადირობს. ბრიტანელები მზად არიან, ლოპესის სანაცვლოდ რომის „ლაციოს“ 10 მილიონი ევრო გადაუხადონ, ხოლო თავად ფეხბურთელს წლიურად 2 მილიონი ევრო დაუნიშნონ ხელფასის სახით. „ვალენსიას“ პრეზიდენტ ფრანსისკო როიგს კი კლაუდიო პიოხოს დაბრუნება კარგა ხანია, ამოუჩრია გულში. თავად რომაული კლუბის თავმჯდომარე ლუკა ბარალდი ახალს ვერაფერს ამბობს, იმედი მაქვს, კლაუდიო ლოპესი „ლაციოში“ დარჩებაო.**

**ბრაზილიური** „სანტოსის“ ყმაწვილ თავდამსხმელზე ტაცითაა. 18 წლის რობინიოს სამშობლოში ახალ რონალდო-რივალდოდ ნათლავენ, ძალიან მაგარიაო. ახლა მის მსურველ კლუბებს გადაავლეთ თვალი: „მილანი“, „იუვენტუსი“, „ინტერი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“, „ბარსელონა“ და „რეალი“. მოკლედ, ნადირობის გაჩაღებას ზაფხულში უნდა ველოდოთ, როცა ახალი სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. და არ გაინტერესებთ ყრმა რობინიოს საწყისი სატრანსფერო ფასი? „სანტოსი“ მასში ჯერ სულ რაღაც 8 მილიონ ევროს ითხოვს.

**ინგლისური „ლივერპულის“ ფრანგ მწვრთნელ ჟერარ ულიეს ახალი სეზონისთვის ფეხბურთელები შეურჩევია. „ფულემის“ ირლანდიელი მცველი სტივ ფინანი და ფრანგი ნახევარმცველი სტიდ მალბრანკი ჩემს გუნდს ერთობ გააძლიერებენო. რამდენად რეალური გახდება ულიეს ზრახვანი, ამას ზაფხულში შევიტყობთ.**

**გერმანული** „შალკე“ ბრემენის „ვერდერის“ ფრანგ ნახევარმცველ იოან მიკუს ეკურკურება. გელზენკირხენული კლუბის მენეჯერ რუდი ასაუერის თქმით, მიკუ მისი გუნდის რიგებს უთუოდ გააძლიერებს. „ვერდერს“ კი ცოცხალი თავით არ სურს, გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს შელევა. სპორტული დირექტორი კლაუს ალოფსი ამბობს: „სამწუხაროდ, ყოველ წელიწადს „შალკეს“ ჩვენგან სულ ცოტა, ერთი ფეხბურთელი მაინც მიჰყავს, ისინი ძლიერდებიან, ჩვენ კი... მოკლედ, წელსაც ასე არ იქნება, მათ არაფერს დავუთმობთ და არც მიკუს გავუშვებთ.“ „ბორდოს“ და „პარმას“ ყოფილ პლეიმეიკერს, 29 წლის იოან მიკუს „ვერდერთან“ კონტრაქტი 2005 წლის ივნისამდე აკავშირებს.

**იტალიური „მილანის“ თავდამსხმელმა ფილიპო ინძაგიმ განაცხადა, მართალია, ტურინის „იუვენტუსს“ 6 ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ კიდევ შეგვწევს ძალა, სკუდეტოსთვის ვიბრძოლოთო. „ვფიქრობ, „იუვენტუსი“ ისეთი ძლიერი უკვე აღარაა, როგორიც ცოტა ხნის წინ იყო. მათ ჩვენსავით ემართებათ, იანვრიდან ფიზიკურად ჯანზე რომ ვერ ვიყავით. საბედნიეროდ, ცუდი დროება უკან მოვიტოვეთ. ღრმად მწამს, „მილანი“ იტალიის ჩემპიონი გახდება.“**

**პორტუგალიური** „პორტუს“ ყოფილი მწვრთნელი ფერნანდუ სანტუში ახალი სეზონიდან ლისაბონის „სპორტინგს“ ჩაუდგება სათავეში. სანტუში კლუბიდან მიმავალ რუმინელ თავკაცს, ლასლო ბოლონის შეცვლის. კონტრაქტის ხანგრძლივობა და დეტალები უცნობია.

**ბელარუსის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ედუარდ მალოფეევმა ნაკრებში მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი ვასილი ბარანოვი დააბრუნა. იგი კარგა ხნის მანძილზე მივიწყებული ჰყავდა მალოფეევს, თუმც რომ გაუჭირდა, გაახსენდა. ვასილი ბარანოვი 30 აპრილს ტაშკენტში, უზბეკეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ითამაშებს. მას აქამდე ბელარუსის ნაკრების მაისურა 25-ჯერ მოურგია და 3 გოლიც გაუტანია.**

**შოტლანდიური** „რეინჯერსის“ ჰოლანდიელ ნახევარმცველ რონალდ დე ბურს ივნისში „ჩაფრებთან“ კონტრაქტი უმთავრდება, თუმც: „სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ვხდები, მაგრამ წინასწარ არაფერია ცნობილი. თუ ფორმაში ვიქნები და ვიგრძნობ, რომ შემიძლია, „რეინჯერსს“ კიდევ მოვუტანო სარგებლობა, დავრჩები. მოკლედ, მოსაფიქრებლად ჯერ დრო მაქვს“ — ამბობს 32 წლის დე ბური.

**იტალიურმა „სამპდორიამ“ „მილანის“ მეკარე კრისტიან აბიატის დაადგა თვალი. სერია A-ში თუ დავბრუნდით, გვსურს, ჩვენი გუნდის კარი გამოცდილმა და ძლიერმა მეკარემ დაიცვას, ასეთად კი სწორედ აბიატი მიგვაჩნიაო. მოგეხსენებათ, აბიატის „მილანის“ პირველმეკარეობა ბრაზილიელმა დიდამ წაართვა, თუმც სათადარიგოდ ქცეულს, მისი თქმით, „როსონერის“ დატოვება გულშიაც არ გაუვლია, თავის შანსს ელის. იტალიური პრესა კი წერს, თუ „მილანმა“ ზაფხულში კრისტიან აბიატი „სამპდორიაში“ გაანათხოვრა, „შავ-წითლების“ ხელმძღვანელობა მის სანაცვლოდ ან „ბრეშადან“ მატეო სერენის, ანაც ინგლისური „ჩელსიდან“ კარლო კუდიჩინის მოიწვევსო. „სამპდორიას“ პრეზიდენტი რიკარდო გარონე კი უკვე დაუკავშირდა აბიატის აგენტს.**

**აზერბაიჯანის** ფეხბურთის ფედერაცია ფიფამ დროებით გარიცხა თავისი ორგანიზაციიდან. მიზეზად ფედერაციის პრეზიდენტ ფუად მუსაევის კორუფციაში მონაწილეობა-მხილებას ასახელებენ. „აზერბაიჯანულ ფეხბურთში სრული ქაოსი და ანარქია სუფევს, არ ტარდება ეროვნული ჩემპიონატის მატჩები. მიუხედავად ჩვენი არაერთგზის გაფრთხილებისა, ფუად მუსაევმა არაფერი შეცვალა. ვფიქრობთ, საკმაოდ საფუძვლიანი და სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღეთ. აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციას ფიფას წევრობა დროებით ეკრძალება და დისკვალიფიკაციაც გადაწყვეტილების ძალებისთანავე შედის ძალაში“ — ვკითხულობთ ფიფას მიერ გუშინ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში.

**ბრაზილიელი რივალდო „მილანის“ ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშისას დაშავდა და წუხელ იტალიის თასის მატჩი „პერუჯასთან“ სწორედ ტრავმის გამო გამოტოვა. როგორც „როსონერის“ ექიმები აცხადებენ, საბედნიეროდ, რივალდოს ტრავმა სერიოზული არაა, მუხლი მსუბუქად დაიშავა და „ემპოლისთან“ შაბათის მატჩისთვის მწყობრში იქნება.**

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები



## მარიო კემპესი

*„კაცი, რომელმაც არგენტინული ფეხბურთი რუკას დაატყო" – ეს მარიო კემპესია, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, იმავე შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირი და მოთამაშე, ეროვნულ გუნდში 43 შეხვედრაში 20 გოლის გამტანი, სამი მუნდიალის მონაწილე, არგენტინის ჩემპიონი, ესპანეთის თასის ორგზის მფლობელი, ევროპის თასების მფლობელთა თასის ორგზის მფლობელი და ევროპის სუპერთასის მფლობელი, ვარსკვლავი, რომელსაც თბილისში, მაშინდელ ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე, ანუ დღევანდელ „ეროვნულზე" გაუგორებია ბურთი.*

# ულვაში და ექვსი გოლი

კემპესი თბილისში რომ ჩამოვიდა, „დინამო" უკვე აღარ იყო დიდი გუნდი, ევროპული ცის კაბადონზე აღარ სჩანდა — არგენტინელი, უფრო სწორად კი მისი „ვალენსია" აქ მოსკოვის „სპარტაკს" შეხვდა. ეს უეფას თასის მეოთხედფინალი გახლდათ, 1983 წლის გაზაფხული იდგა, მოსკოვში თოვლი იდო და მაშინდელი ჩვეულების შესაბამისად ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ ესპანელების მასპინძლობა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში გადაწყვიტა. ცხადია, „ვალენსიასთან" „სპარტაკს" კი არა, „დინამოს" რომ ეთამაშა, მსოფლიოს ჩემპიონის სტუმრობაზე მეტად გამახვილებოდა ყურადღება, მაგრამ... მერედა, ვერც კემპესმა მოსწყვიტა ციდან ვარსკვლავები, თამაში 0:0 დასრულდა.

ეს უკვე ის ეპოქაა, როდესაც არგენტინულ ფეხბურთში სხვა, ძალიან დიდი კაცი გამოჩნდა და თავისი ქვეყანა მსოფლიოს რუკას არათუ დაატყო, არამედ მსოფლიო დაიპყრო. კემპესი უკვე მიდიოდა, თუმცა მოედანზე კიდევ კარგა ხანს დარჩა. ის მორალურად მიდიოდა, დიეგო მარადონას ბრწყინვალებას დაეფარა.

არადა, თავში რომ სიტყვები ვახსენეთ — კაცი, რომელმაც არგენტინული ფეხბურთი რუკას დაატყო, — სწორედ მარადონას ნათქვამია, ასე დაახასიათა წინამორბედი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში. მარადონას 10 ნომერი მაისური ეცვა, კემპესის მაისური...

...1978 წელი. არგენტინის ნაკრები პირველად ხდება მსოფლიოს ჩემპიონი.

„მსოფლიოს ჩემპიონობა სწორედ ის გახლდათ, რაც ნატანჯ არგენტინელ ხალხს სჭირდებოდა, მათ ბედნიერება იგრძნეს — ამბობს კემპესი — არ მავიწყდება, ნაკრებში იმიტომ მოვხვდი, რომ სხვა ფეხბურთელები, მაგალითად, ოსვალდო პიაცა ვერ მიჰყავდათ. მე-10 ნომერი მაისურა მე მომცეს, ხოლო დიეგო მარადონა, რომლის თამაშიც მაშინ არ მენახა, დატოვეს. ცხადია, შემდეგ იგი იქცა ყველა დროის უდიადეს არგენტინელ მოთამაშედ, მე კი გავხდი მეორე, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირობა შესძლო. პირველი გილერმო სტაბილე იყო".

მაშ ასე, 1978 წელი. არგენტინაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. მასპინძელი ქვეყნის ნაკრებმა უნგრეთსა და საფრანგეთს მოუგო, რითაც შემდეგ ეტაპზე გავიდა (იტალიასთან წაგებამ გავლენა აღარ იქონია), მაგრამ გუნდის მეათე ნომერმა გოლი ვერ გაიტანა, შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა.

არგენტინის ტრიუმფატორი ნაკრების მწვრთნელი, ლუის სესარ მენოტი: „მაშინ ვურჩიე ულვაში გაეპარსა და ამან იმოქმედა. მან ექვსი გოლი გაიტანა, საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს".

მომდევნო შეხვედრები ასე წარიმართა: მოგება პოლონეთთან — კემპესმა ორი შეაგდო, ფრე ბრაზილიასთან და მოგება პერუსთან — კემპესმა ორი შეაგდო, რასაც ლეგენდარული ფინალი მოჰყვა, არგენტინა — ჰოლანდია 3:1.

იმ შეხვედრის აღწერას და დეტალურ მოგონებას აზრი იმიტომ არ აქვს, რომ ყველამ იცის, ახალ თაობებსაც მრავალჯერ უნახავთ ვიდეოჩანაწერი. მასპინძელთა სამი გოლიდან ორი კემპესმა გაიტანა!

დიახ, მრავალი მნიშვნელოვანი საკლუბო ჯილდოს მიუხედავად მარიო კემპესი სანაკრებო ვარსკვლავად შემორჩა დედამიწის მეხსიერებას. თუნდაც 43 შეხვედრაში გატანილი 20 გოლი რად ღირს, მაგრამ კულმინაცია სწორედ ის იყო, ჰოლანდიასთან მატჩი, თორემ...

ოთხი წლის შემდეგ, 1982-ში, ესპანეთის მუნდიალზე არგენტინელები ისე გამოეთიშნენ, რომ კემპესმა გოლის გატანა ვერ მოასწრო, ასევე იყო ოთხი წლით ადრე, 1974-ში.

საგულისხმოა, რომ მაშინ, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ სამხრეთ ამერიკულ პრესაში არგენტინის ნაკრებს „ძრდილების გუნდი" შეარქვეს. ასეთი მეტსახელის მიზეზი კი ის იყო, რომ შესარჩევში, ომარ სივორიმ უამრავ უცნობ მოთამაშეს უხმო და ბოლივიაში, ლა პასში ადრიანად ჩაიყვანა, რათა ისინი ზღვის დონიდან ძალიან მაღლა, გაიშვიათებულ ჟანგბადში ბურთაობას შეჩვეოდნენ — ცნობილ ფეხბურთელებს ამდენი დრო არ ჰქონდათ. ის შეხვედრა არგენტინელებმა ოსკარ ფორნარის გოლით 1:0 მოიგეს. კემპესიც უცნობთა შორის იყო, ეს მისი დებიუტი გახლდათ.

„ჩემი ქვეყანა ძალიან იღბლიანია, რადგან ბევრი კარგი ფეხბურთელი შვა. მე არგენტინის ფეხბურთის ისტორიისთვის მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილი ვარ" — ამბობს ივი, ოცდახუთი წლის წინანდელი ძლიერი, ტექნიკური, სივრცის გრძნობისა და ლონიერი დარტყმის მქონე ცენტრფორვარდი, რომელსაც თამაშის ბედის გადაწყვეტა შეეძლო — ასე ახასიათებდა კემპესს მენოტი.

მარიო კემპესმა, როგორც მოგახსენეთ, მივიწყების შემდეგაც კარგა ხანს ითამაშა, 1996 წლამდე. კარიერაში ათი გუნდი გამოიცვალა, სამი არგენტინული, ორი ესპანური, სამი ავსტრიული, ერთი ჩილეს და ერთიც ინდონეზიური. სწორედ ინდონეზიაში, „პელიტა ჰიატში" მოსინჯა ძალა როგორც მწვრთნელმა (თუმცა, მანამდე, 1993 წელს, თამაშისთვის დროებით თავი რომ ჰქონდა დანებებული, „ვალენსიაში" ექტორ ნუნიესს ედგა ასისტენტად), იმუშავა ალბანეთში, ვენესუელასა და ბოლივიაში, სადაც ჯერ „სტრონგესტს" ხელმძღვანელობდა, მერე „ინდეპენდიენტე პეტროლეროს". კემპესის ხელში „სტრონგესტი" ჩემპიონი გახდა — ეს გახლდათ არგენტინელი ვარსკვლავის პირველი სამწვრთნელო ტიტული, „ინდეპენდიენტე პეტროლერო" კი ის ალაგია, სადაც თქვენი ნებართვით, დავტოვებთ კიდეც ჩვენი წერილის გმირს, ვინაიდან ეს უკვე სხვა ისტორიაა.

**პაატა ძიდია**



1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მარიო კემპესმა (№10) ჰოლანდიელებს ორი გოლი გაუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



რონალდოს მილენას გარდა ბევრი ქალისთვის შეუვლია ხელი

# ბიჭო, ვისი ხარ, კაიტო?

*ბრაზილიელი ქალბატონი ვივიან ბრუნერი ამ თვეში შვილს ელის. ელის არა მარტო ის, არამედ სრულიად ბრაზილია და განსაკუთრებით ორი კაცი — რივალდო და რონალდო. ბრუნერი არც ერთი მათგანის ცოლი არაა, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს მისი შვილის მამობას აბრალებს.*

ვინ არის ვივიან ბრუნერი? — ბრაზილიელი ქერათმიანი პურის ფულს „პლეიბოიში" გამოჭენებული შიშველი სხეულით შოულობს. მას მხოლოდ სამშობლოში იცნობდნენ, მაგრამ შარშან სექტემბერში ისეთი ამბავი ატეხა, მთელმა მსოფლიომ ცქვიტა ყურები. ბრუნერმა მაშინ თქვა, ორი თვის ფეხმძიმე ვარ, ბავშვის მამა კი რივალდოაო. იგი ალდო ბისკარდის სატელევიზიო შოუში იყო მიწვეული, სადაც ცნობილი ქალები ცნობილ კაცებთან ურთიერთობაზე სასეირო ისტორიებს ჰყვებიან.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ „ესიამოვნებოდა" ეს ცნობა რივალდოს, რომელიც მეუღლის ღალატში მანამდე შემჩნეული არ ყოფილა. ცხოვრობს კაცი თავისთვის მშვიდად, ოჯახურ იდილიაში და უცბად...

ეს კიდევ არაფერია. ვივიან ბრუნერმა ქვა აგდო და თავი შეუშვირა, როგორც კი ბავშვი გაჩნდება, რივალდოს ხელს ჩავკიდებ და სისხლის ანალიზით დავუმტკიცებ, რომ ჩემი შვილის მამააო.

ამ ამბავმა რივალდოს მილანში მიუსწრო. ბრაზილიელის ახალმა კლუბმა ყველაფერი ილონა იმისთვის, რომ ფეხბურთელისთვის აბეზარი ჟურნალისტები და პაპარაცები აერიდებინა. რივალდომ პირი დაილუქა და მხოლოდ რამდენი სიტყვით ჩააკომენტარა: „ის ჩემგან შვილს ელის? სასაცილოა და არახალია. ესპანეთში მისი მსგავსი სულ ცოტა, ხუთი მინახავს."

ვერ ვიტყვით, რომ შიშისგან კანკალებდა, მაგრამ ოთხი თვის განმავლობაში, ამ წლის იანვრამდე, რივალდოს პრობლემები აშკარად მიეძალა. თუმცა იანვარში ექვსი თვის ფეხმძიმე ვივიან ბრუნერმა ფირფიტა გადააბრუნა და სხვა ხმაზე აჭიკჭიკდა — რივალდო კი არა, რონალდოა ჩემი შვილის მამაო. გასაკვირი არ იქნება, რომ ქალბატონმა ვარიანტი კიდევ შეცვალოს, თუმცა ჯერჯერობით ბოლო ჩვენებაზე მყარად დგას. ბრაზილიელებს არც ის გაუკვირდებათ, რომ მამობა მართლაც რონალდოს დაბრალდეს, რადგან ბრაზილიაში თითქმის არ დარჩა მომხიბლავი ქერათმიანი, „კიჭას" ხელში რომ არ გაევლოს. ფენომენის ყურადღება ვივიან ბრუნერსაც არ ასცდა. ბრუნერს ერთი მეგობარი ჰყავს — ნადია ფრანკა, ვისთან ერთადაც ხშირად გაიელვებს ხოლმე „პლეიბოის" ფურცლებზე. ჰოდა, როცა რონალდო „კრუზეიროში", მერე კი პსვ-ში თამაშობდა, ბრუნერისა და ფრანკას ტკბილ საზოგადოებაში ხშირად ატარებდა დროს.

ძველი დროის გასახსენებლად შარშან, სანამ ფეხბურთელი ჯერ კიდევ „ინტერის" საკუთრება იყო, ვივიან და ნადია „კიჭას" მილანში ესტუმრნენ, მაგრამ ფენომენმა მათგან თავი შორს დაიჭირა, თქვენთან აღარაფერი მესაქმებაო. მიუხედავად ამისა, ბრაზილიელი ჟურნალისტები ეჭვობენ, რომ სწორედ შარშან ივლისში, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გახარებულ-გალაღებულ რონალდოს ვივიანისკენ ... ხელი წაუცდა და ცხრა თვის შემდეგ, ანუ ახლა აპრილში პატარა „კიჭა" ქვეყანას მოევლინება. ცნობილია, რომ ახალშობილი ბიჭი იქნება და მას სახელი უკვე დაარქვეს — კაიტო, რაც იაპონურია და ქართულად „ოკეანის გადამლახავს" ნიშნავს.

ვივიან ბრუნერის პირადმა მდივანმა რიკარდო ლეონავიჩუსმა თქვა, რონალდო ცხვარივით იქცევა, მამობას არც კი უარობსო. მუდმივად გვირეკავს, შვილის დედას მოიკითხავს და საჩუქრებსაც გვიგზავნისო.

ამ ცნობას თავის მხრივ ფეხბურთელის პრესსამსახური უარყოფს: „საქმე ეხება უზრდელ ქალბატონს, რომელსაც ცნობილ ფეხბურთელთან გამოგონილი სკანდალური ისტორიებით პოპულარობის მოპოვება სურს". თავად რონალდოს ამ თემაზე კრინტიც არ დაუძრავს, მის ნაცვლად ადვოკატები საუბრობენ.

რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთი იტალიურ არხზე ბრაზილიელი ფოტომოდელი ანდრეს კარნევალი გამოცხადდა და შარშან ზაფხულში რონალდოსთან გატარებულ არდადეგებზე გაცხარებით ჰყვებოდა.

მოკლედ, ყველა, ვისაც არ ეზარება, „კიჭას" საწოლში უგორდება და მერე მომხდარს საჯაროდ ჰყვება. ასეა რონალდოს ერთი ძველი საყვარელი ოქსანა კლიჩკოც. უკრაინელი პორნოვარსკვლავის თქმით, ფენომენი საწოლშიც ძალიან სწრაფია, რასაც თავად ოქსანა არამც და არამც არ მიესალმება: „ჩვენ ერთმანეთი 2001 წელს პორტოკინოში გავიცანით. მე მას ავტოგრაფი ვთხოვე. მეორე დღეს კვლავ შევხვდით. მერე მილანში, დისკოთეკაზე ვნახე და მდუღარე, მაგრამ მოკლე ღამე გავატარეთ. ლოგინში რონალდო ჩემპიონი არაა!"

სადაა ამ დროს „კიჭას" ცოლი, მილენა დომინგუში? ის ფეხბურთს თამაშობს და თავს იკატუნებს, თითქოს ქმრის „ლაშქრობებზე" არაფერი გაუგია. მილენას სურს, რომ მას როგორც რონალდოს ცოლს კი არა, როგორც დიდ ქალ ფეხბურთელს იცნობდნენ.

# სამნი ნავში ბურთების დაუთვლელად

## არგენტინა

### კლაუსურა

**მე-9 ტური: ოლიმპო — სან ლორენსო 0:1;ველესი — უნიონი 2:1; ჩაკარიტა — როსარიო 0:3; არსენალი — ესტუდიანტესი 1:0; კოლონი — ნუევა ჩიკაგო 2:0; რივერ პლეიტი — ინდეპენდიენტე 2:1; ურაკანი — ტალიერესი 2:4; ხიმნასია — ლანუსი 1:2; რასინგი — ბოკა ხუნიორსი 0:1; ოლდ ბოიზი — ბანფილდი 2:1**

**სამი ბაირესული** კლუბი 22-22 ქულით მოქცევია სათავეში მიმდინარე კლაუსურას. უკეთესი სხვაობით პირველია „რივერ პლეიტი", მეტი გატანილი ბურთით მეორეა „ბოკა ხუნიორსი", ხოლო მესამე — „ველეს სარსფილდი".

ამ სამისა არ იყოს, ერთი წაგება აქვს „როსარიოს", თუმცა ფრეებით ის ოთხი ქულა დაუკარგავს, ლიდერებს რომ ჩამორჩება.

წლეულს ფავორიტობაზე იქაჩებოდა ოსვალდო არდილესის გაწვრთნილი „რასინგი", მაგრამ გუნდმა შინ წააგო სეზონის ალბათ გარდამტეხი თამაში „ბოკასთან" — 0:1. ამ მატჩზე გულშემატკივრობა ფანატიკური იყო და „ბოკამ" იმის მიუხედავად მოიგო, რომ მეორე ტაიმის შუაში რაულ კაშინი გაუძევეს. თამაშის ერთადერთი გოლი მე-11 წუთზე მატიას დონეტმა გაიტანა. „რასინგი" მეხუთე ადგილამდე ჩამოვარდა.

„რივერმა" წლეულს უხეიროდ მოთამაშე აპერტურას ჩემპიონ „ინდეპენდიენტეს" მოუგო, რომელიც დანიელ მონტენეგროს ადრიანი გოლით ლამის 50 წუთს იგებდა, მაგრამ მერე ესტებან ფუენტესმა გაათანაბრა. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი დრამა გათამაშდა, გაბრიელ მილოტომ თავის კარში შეაგდო გოლი და „ინდეპენდიენტემ" მეშვიდედ წააგო სეზონის ცხრა ტურში.

არგენტინის ყველაზე უხერხულმა გუნდმა „ტალიერესმა", რომელიც მშობლიურ სტადიონზე დიადთა დამარცხების უნარითაა ცნობილი, ახლა გასვლაზე გამართა შოუ და „ურაკანს" 4:2 მოუგო. ბოლო გუნდის დამარცხება საკვირველი არ იქნებოდა, მაგრამ „ტალიერესი" 0:2-ს აგებდა და ხუთწუთიან მონაკვეთში გაიტანა სამი გოლი.

ამ კვირაში კლაუსურა ნახევარს გადასცდება და ყოველ თამაშს ოქროს ფასი აქვს.

**ონარიო ბუსტოს დომეკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 9 | 7 | 1 | 1 | 21:7 | 22 |
| ბოკა ხუნიორსი | 9 | 7 | 1 | 1 | 16:6 | 22 |
| ველესი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:5 | 22 |
| როსარიო | 9 | 5 | 3 | 1 | 20:11 | 18 |
| რასინგი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:8 | 17 |
| ოლიმპო | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 14 |
| კოლონი | 9 | 3 | 5 | 1 | 9:6 | 14 |
| ოლდ ბოიზი | 9 | 3 | 4 | 2 | 13:12 | 13 |
| უნიონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:11 | 11 |
| ესტუდიანტესი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:9 | 11 |
| ნუევა ჩიკაგო | 9 | 3 | 2 | 4 | 13:16 | 11 |
| ხიმნასია | 9 | 3 | 2 | 4 | 10:14 | 11 |
| არსენალი | 9 | 2 | 4 | 3 | 4:7 | 10 |
| სან ლორენსო | 9 | 2 | 4 | 3 | 12:17 | 10 |
| ტალიერესი | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | 9 |
| ჩაკარიტა | 9 | 2 | 2 | 5 | 6:9 | 8 |
| ლანუსი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:13 | 8 |
| ინდეპენდიენტე | 9 | 1 | 3 | 5 | 7:16 | 6 |
| ბანფილდი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:16 | 5 |
| ურაკანი | 9 | 0 | 3 | 6 | 6:21 | 3 |



რივერ პლეიტი — ინდეპენდიენტე. სტუმარი დიეგო სუარესი კლაუდიოს ფეხს მისწვდა, ბურთს კი ვერა

# ოსვალდოს კიდევ ერთი თამაში

## ბრაზილია

**მე-3 ტური: ინტერნასიონალი — ბაია 2:0; ატლ. პარანენსე — ატლ. მინეირო 1:2; სანტოსი — ფიგეირენსე 2:0; კორინთიანსი — პაისანდუ 6:1; ვიტორია — ვასკუ და გამა 2:1; კრისიუმა — სან პაულუ 1:1; ფორტალეზა — სან კაეტანო 1:1; ჟუვენტუდე — კურიტიბა 2:1; გუარანი — პარანა 2:0; გოიასი — გრემიო 1:1; კრუზეირო — პონტე პრეტა 3:0; ფლამენგო — ფლუმინენსე 4:1**

**ბრაზილიის** შარშანდელმა ჩემპიონმა „სანტოსმა" ოთხ ტურში პირველად მოიგო — „ფიგეირენსე" დაამარცხა 2:0. აქამდე „სანტოსს" ორი ფრე და ერთი წაგება მოგროვებოდა და დიახაც განსაკუთრებულად სწყუროდა გამარჯვება. გუნდის ყრმა ვარსკვლავები, რობინიო და დიეგო რაც სეზონი დაიწყო, ძნელად იჩენენ თავს და ახლაც ასე იყო. თამაშის ბედი ელანომ და რიკარდო ოლივეირამ გადაწყვიტეს, თითო ტაიმში თითო. რიკარდო ოლივეირამ როგორც იქნა მოაგვარა თავისი სასამართლო საქმეები თავის ყოფილ კლუბ „პორტუგეზასთან" და ახლა „სანტოსის" ხელშია.

ამ მოგებამ პელეს ყოფილი გუნდი ოთხი ტურის თავზე მერვე ადგილზე აიყვანა.

„სანტოსი" კვლავაც რჩება ბრაზილიის ყველაზე ახალგაზრდა (საშუალო ასაკი 23 წელია) და ყველაზე შემტევ გუნდად.

ჯერჯერობით კი თამაშით ყველას „კრუზეირო" ჯობს, რომელსაც წლეულს საერთოდ არ წაუგია რაგინდარა შეჯიბრებაში. გუნდს ვანდერლეი ლუშემბურგო წვრთნის და მთავარმეგოლედ თავდამსხმელი დეივიდი ჰყავს. ამან წინა ტურში ჰეთ ტრიქი ალასრულა „სან პაულუს" წინააღმდეგ, ახლა კი 2 გოლი გაუტანა „პონტე პრეტას". ამ ორ გოლს შუა კოლუმბიელმა ვიკტორ არისტაბალმაც შეაგდო და საბოლოოდ „კრუზეირომ" 3:0 მოიგო.

„კრუზეირო" ერთია იმ ხუთი გუნდიდან, 7-7 ქულით რომ მეთაურობენ ცხრილს. დანარჩენები გახლავან: „ფლამენგო", „ატლეტიკო მინეირო", „ინტერნასიონალი" და „ვიტორია". ოლონდაც ვანდერლეის გუნდს ბურთების უკეთესი სხვაობა გამოსვლია.

„ფლამენგომ" 4:1 მოუგო „ფლუმინენსეს", რომელთანაც წლის დასაწყისში 0:3 და 2:4 დამარცხდა რიოს შტატის ფინალში, ანუ კარიოკას გადამწყვეტ თამაშებში. ამჯერად „მენგომ" ზე კარლოსის ორი სწრაფი გოლით დააშამათა „ფლუ", რასაც ისიც დაერთო, რომ ამ უკანასკნელის კაპიტანი მარკაო პირველ ტაიმშივე გააძევეს ვირული მოთელვისთვის. კარლოს ალბერტომ ერთი გოლი შესვენებამდევე გაქვითა, მაგრამ მეორე ტაიმში ათკაცა გუნდი აირია და ფაბიო ბაიანომ და ფერნანდო ბაიანომ თითო გოლი გაიტანეს.

კვლავ ვერ მოიგო სეზონის წინ ფავორიტად აღიარებულმა „სან პაულუმ", რომელიც ფრეს დასჯერდა პატარა „კრისიუმასთან". ამბობენ, პაულელთა მწვრთნელ ოსვალდო დე ოლივეირას ერთი თამაში აქვს და ისიც თუ ვერ მოიგო, მოხსნიანო. თუმცა, შარშანდელი ზაფხულიდან მოყოლებული ოსვალდოს უკვე მეორე თვეა ერთი თამაში აქვს და მაინც არ ხსნიან.

**ლუშაუ დუ მოზკაო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| ფლამენგო | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ატლ. მინეირო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ინტერნასიონალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ვიტორია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| გუარანი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| სან კაეტანო | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| სანტოსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| კორინთიანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:7 | 4 |
| კრისიუმა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| პარანა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| გრემიო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| პონტე პრეტა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| პაისანდუ | 4 | 1 | 1 | 2 | 6:11 | 4 |
| ვასკუ და გამა | 3 | 1 | 0 | 2 | 9:10 | 3 |
| ატლ. პარანენსე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ფორტალეზა | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ჟუვენტუდე | 3 | 0 | 2 | 1 | 4:4 | 2 |
| გოიასი | 3 | 0 | 2 | 1 | 7:9 | 2 |
| სან პაულუ | 3 | 0 | 2 | 1 | 5:7 | 2 |
| ფიგეირენსე | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| კურიტიბა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ბაია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ფლუმინენსე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

## შვედეთი

### მეორე ტური

**იურგორდენი 2:0 ჰალმსტადი**
**გიოტებორგი 3:0 მალმიო**
**იორებრო 2:3 ჰამარბი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ჰამარბი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| გიოტებორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| აიკ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ლანდსკრონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ჰელსინგბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ჰალმსტადი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| იოსტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ელფსბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| სუნდსვალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მალმიო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| იორებრო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ენკოპინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| იორგრიტე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

### XXVIII ტური

**კიოლნი 2:0 ობერჰაუზენი**

1:0, 2:0 შერცი (42, 44)

*კიოლნელი არჩილ არველაძე სარეზერვო გუნდშია*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 28 | 16 | 11 | 1 | 58:33 | 59 |
| ფრაიბურგი | 28 | 16 | 7 | 5 | 47:23 | 55 |
| აინტრახტი | 28 | 14 | 9 | 5 | 45:26 | 51 |
| მაინცი | 28 | 15 | 5 | 8 | 46:27 | 50 |
| ფიურტი | 28 | 12 | 10 | 6 | 43:29 | 46 |
| ტრირი | 28 | 13 | 6 | 9 | 48:37 | 45 |
| ალემანია | 28 | 11 | 9 | 8 | 45:37 | 42 |
| დუისბურგი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:35 | 39 |
| როიტლინგენი | 28 | 10 | 6 | 12 | 34:39 | 36 |
| ბურგჰაუზენი | 28 | 8 | 11 | 9 | 40:35 | 35 |
| ლიუბეკი | 28 | 10 | 4 | 14 | 39:40 | 34 |
| უნიონი | 28 | 7 | 13 | 8 | 30:44 | 34 |
| ობერჰაუზენი | 28 | 9 | 6 | 13 | 33:39 | 33 |
| ალენი | 28 | 8 | 6 | 14 | 37:49 | 30 |
| კარლსრუე | 28 | 5 | 11 | 12 | 24:41 | 26 |
| ზტ. პაული | 28 | 6 | 7 | 15 | 38:57 | 25 |
| ბრაუნშვაიგი | 28 | 5 | 8 | 15 | 27:47 | 23 |
| ვალდჰოფი | 28 | 5 | 6 | 17 | 28:59 | 21 |

## იტალია

### სერია B. XXX ტური

**ტერნანა 0:0 ლეჩე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 30 | 14 | 12 | 4 | 43:24 | 54 |
| სიენა | 30 | 13 | 14 | 3 | 34:21 | 53 |
| ანკონა | 30 | 14 | 10 | 6 | 45:31 | 52 |
| ლეჩე | 30 | 11 | 15 | 4 | 34:26 | 48 |
| ვიჩენცა | 30 | 12 | 11 | 7 | 45:36 | 47 |
| ტერნანა | 30 | 12 | 10 | 8 | 35:27 | 46 |
| ტრიესტინა | 30 | 12 | 8 | 10 | 39:34 | 44 |
| ლივორნო | 30 | 11 | 10 | 9 | 37:28 | 43 |
| პალერმო | 30 | 11 | 10 | 9 | 33:32 | 43 |
| კალიარი | 30 | 10 | 10 | 10 | 34:37 | 40 |
| ვერონა | 30 | 9 | 11 | 10 | 35:33 | 38 |
| მესინა | 30 | 9 | 11 | 10 | 42:44 | 38 |
| ვენეცია | 30 | 9 | 11 | 10 | 29:35 | 38 |
| ასკოლი | 30 | 10 | 7 | 13 | 37:39 | 37 |
| ჯენოა | 30 | 8 | 10 | 12 | 39:39 | 34 |
| ბარი | 30 | 5 | 16 | 9 | 26:30 | 31 |
| ნაპოლი | 30 | 6 | 13 | 11 | 31:41 | 31 |
| კატანია | 30 | 8 | 7 | 15 | 31:44 | 31 |
| კოზენცა | 30 | 7 | 5 | 18 | 21:42 | 26 |
| სალერნიტანა | 30 | 4 | 9 | 17 | 21:48 | 21 |

## პორტუგალია

### თასის 1/2 ფინალი

**პორტუ 2:0 ნავალი**

1:0 დერლეი სილვა (55), 2:0 დეკო სოუზა (80)

*ფინალში 15 ივნისს, ლისაბონის „ეროვნულზე" „ლეირია" და „პორტუ" ითამაშებენ*


ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება

ბილიარდი

პული, რუსული პირამიდა, სნუკერი



Zeus ზევსი

ბილიარდაი Bilijardai

აქსესუარები

1000-ზე მეტი დასახელება

სპეციალური ფასები ბილიარდის კლუბებისათვის

მაღაზია სალონი WWW.billiard.ge

ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46

ქ. თბილისი, უზნაძის ქ (ყოფ. კამო) No:2

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ჰანზა-ჰერტა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 002 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.30 | 003 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 004 | მიუნხენი-ჰამბურგი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 18.30 | 005 | ნიურნბერგი-არმინია | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.30 | 006 | კოტბუსი-მიონხენგლადბახი | 2,45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1,42 |
| 18.30 | 007 | ჰანოვერი-კაიზერსლაუტერნი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | ლევერკუზენი-შალკე | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 20.30 | 009 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 010 | სტ.პაული-ფიურტი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 22.00 | 011 | ლიუბეკი-ალენი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.00 | 012 | ვალდჰოფი-კარლსრუე | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 013 | ობერჰაუზენი-ბურგჰაუზენი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 18.00 | 014 | ტრიერი-ფრაიბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.00 | 015 | ბრაუნშვაიგი-აინტრახტი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 18.00 | 016 | უნიონი-ალემანია | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 017 | როიტლინგენი-კიოლნი | 3,1 | 3,2 | 2,1 | 1,57 | 1,25 | 1,26 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 23.15 | 018 | მაინცი-დუისბურგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXVII ტური** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 019 | ვერდერი(მ)-პადერბორნი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 020 | კიოლნი(მ)-ჰამბურგი(მ) | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 17.00 | 021 | ქემნიცი-ლევერკუზენი(მ) | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 17.00 | 022 | დინამო-ოსნაბრუკი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 17.00 | 023 | მიუნსტერი-ოუე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.00 | 024 | ესენი-დრეზდენი | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 17.00 | 025 | ვერლი-კილი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 17.00 | 026 | ბაბელსბერგი-უერდინგენი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 17.00 | 027 | ვატენშაიდი-დორტმუნდი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXX ტური** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 028 | შვაინფურტი-კასელი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 22.00 | 029 | ზაარბრიუკენი-დარმშტადტი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 22.00 | 030 | ავგსბურგი-აინტრახტი(მ) | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 031 | ავგსბურგი-აინტრახტი(მ) 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.00 | 032 | ფულენდორფი-ელვერსბერგი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 22.00 | 033 | აალენი-რეგენსბურგი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 22.30 | 034 | ოფენბახი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 22.30 | 035 | ერფურტი-უნტერჰახინგი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 036 | ვეენი-ბაიერნი(მ) | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 048 | ტოტენჰემი-ხიტი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 049 | ასტონ ვილა-ჩელსი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 19.00 | 050 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 051 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 052 | ევერტონი-ლივერპული | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 053 | ფულჰემი-ნიუკასლი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 19.00 | 054 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 055 | მანჩესტერი-ბლეკბერნი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,7 | | | |
| 19.00 | 056 | მიდლსბრო-არსენალი | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,81 | 1,21 | 1,33 |
| 19.00 | 057 | საუთჰემპტონი-ლიდსი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 058 | სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXXV ტური** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 059 | არსენალი-მანჩესტერი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 076 | დერბი-მილუოლი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 106 | პიტერბორო-კარდიფი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| | | **იტალია. სერია "A". XXIX ტური** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 167 | ბრეშა-ინტერი | 3,6 | 2,9 | 2,1 | 1,6 | 1,32 | 1,21 |
| 18.00 | 168 | კომო-რეჯინა | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 169 | ლაციო-პიაჩენცა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 18.00 | 170 | მილანი-ემპოლი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 171 | მილანი-ემპოლი 0:1 | 1,7 | 3,1 | 3,3 | | | |
| 18.00 | 172 | მოდენა-ბოლონია | 2,25 | 2,8 | 3,4 | 1,24 | 1,35 | 1,53 |
| 18.00 | 173 | პარმა-ტორინო | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 18.00 | 174 | პერუჯა-ატალანტა | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 18.00 | 175 | იუვენტუსი-კიევო | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.30 | 176 | უდინეზე-რომა | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXX ტური** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 21.30 | 211 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 00.30 | 212 | რეალი-ბარსელონა | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 213 | დეპორტივო-სევილია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 214 | დეპორტივო-სევილია 0:1 | 2,15 | 3,0 | 2,45 | | | |
| 21.00 | 215 | ესპანიოლი-ბილბაო | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 216 | ოსასუნა-სელტა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 217 | რასინგი-უელვა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 218 | ალავესი-მალაგა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 20.00 | 219 | ვილიარეალი-მალიორკა | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 220 | ბეტისი-ატლეტიკო | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.30 | 221 | სოსიედადი-რაიო | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 222 | სოსიედადი-რაიო 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 21.30 | 223 | ალმერია-ლას პალმასი | 2,5 | 2,7 | 3,0 | 1,29 | 1,36 | 1,42 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 14.30 | 224 | ხეტაფე-ტერასა | 2,15 | 2,6 | 4,0 | 1,17 | 1,39 | 1,57 |
| 15.00 | 225 | ლევანტე-ლეგანესი | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 20.00 | 226 | ფეროლი-ელჩე | 2,35 | 2,7 | 3,3 | 1,25 | 1,37 | 1,48 |
| 21.00 | 227 | კომპოსტელა-ნუმანსია | 2,2 | 2,6 | 3,8 | 1,19 | 1,39 | 1,54 |
| 21.00 | 228 | ოვიედო-ბადახოსი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 21.00 | 229 | სალამანკა-ეხიდო | 2,25 | 2,6 | 3,6 | 1,2 | 1,38 | 1,5 |
| 21.00 | 230 | კორდობა-ალბასეტე | 3,0 | 2,7 | 2,5 | 1,42 | 1,36 | 1,29 |
| 22.00 | 231 | სარაგოსა-ეიბარი | 1,55 | 3,2 | 7,5 | 1,04 | 1,28 | 2,24 |
| 23.00 | 232 | ტენერიფე-ხერესი | 2,05 | 2,8 | 4,0 | 1,18 | 1,35 | 1,64 |
| 23.00 | 233 | მურსია-სპორტინგი | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20.15 | 234 | აიაჩო-ბორდო | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 23.00 | 235 | სოშო-გენგამი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 236 | ოსერი-ლე ავრი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 23.00 | 237 | ლიონი-ლილი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 238 | ლიონი-ლილი 0:1 | 1,95 | 3,1 | 2,7 | | | |
| 23.00 | 239 | ბასტია-მონპელიე | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 23.00 | 240 | რენი-ნიცა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 23.00 | 241 | ნანტი-მეცი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 242 | სედანი-ტრუა | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 243 | მონაკო-სტრასბური | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 244 | მონაკო-სტრასბური 0:1 | 1,95 | 3,1 | 2,7 | | | |
| 23.45 | 245 | ლანსი-მარსელი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 246 | ტულუზი-გრენობლი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 247 | ტულუზი-გრენობლი 0:1 | 2,15 | 3,1 | 2,4 | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 248 | ბოვე-კრეტეი | 2,1 | 2,9 | 3,6 | 1,21 | 1,32 | 1,6 |
| 23.00 | 249 | ისტრი-ამიენი | 2,05 | 2,9 | 3,8 | 1,2 | 1,33 | 1,64 |
| 23.00 | 250 | ლე მანი-შატორუ | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 23.00 | 251 | ლორიანი-გენიონი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 23.00 | 252 | მეცი-ლავალი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 253 | მეცი-ლავალი 0:1 | 2,15 | 3,1 | 2,4 | | | |
| 23.00 | 254 | ნიორი-კანი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.00 | 255 | რეიმსი-კლერმონი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 23.00 | 256 | სტ.ეტიენი-ნანსი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 257 | ვალკვალი-ვალანსი | 2,15 | 2,8 | 3,6 | 1,21 | 1,34 | 1,57 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 258 | ლეირია-ფეირენსე | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 01.00 | 259 | ჟილ ვისენტე-ბოავისტა | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 260 | ბეირა მარი-ბრაგა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 20.00 | 261 | სეტუბალი-აკადემიკა | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 22.00 | 262 | პორტუ-მორეირენსე | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 263 | პორტუ-მორეირენსე 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.30 | 264 | ნასიონალი-სანტა კლარა | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 01.15 | 265 | მარიტიმუ-სპორტინგი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 22.45 | 266 | გიმარაეში-ბელენენსეში | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 01.00 | 267 | ბენფიკა-ვარზიმი | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| | 268 | ბენფიკა-ვარზიმი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 269 | ნავალი-შავეში | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| 20.00 | 270 | ალვერკა-ფარენსე | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.00 | 271 | ავეში-სალგეიროში | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 20.00 | 272 | კოვილია-ამადორა | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 20.00 | 273 | რიუ ავე-მაია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 274 | რიუ ავე-მაია 0:1 | 2,1 | 3,1 | 2,45 | | | |
| 20.00 | 275 | მარკუ-ფელგეირაში | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 276 | ლეცა-პორტიმონენსე | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 20.00 | 277 | პენაფიელი-მადეირა | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 278 | უტრეხტი-ვალვაიკი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 279 | აიაქსი-როდა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 280 | აიაქსი-როდა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.30 | 281 | ტილბურგი-გრააფსხაპი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 282 | ტილბურგი-გრააფსხაპი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 22.30 | 283 | პსვ-ტვენტე | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 284 | პსვ-ტვენტე 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 22.30 | 285 | როზენდალი-ალკმაარი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 22.30 | 286 | ექსცელსიორი-ჰერენვენი | 3,3 | 3,4 | 2,0 | 1,67 | 1,24 | 1,25 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 287 | ვიტესი-ნაიმეგენი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 288 | ზვოლე-ფეიენოორდი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 17.30 | 289 | გრონინგენი-ბრედა | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 302 | გენკი-ბრიუგე | 3,1 | 3,4 | 2,1 | 1,62 | 1,25 | 1,29 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 303 | გენტი-ლომელი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.00 | 304 | მონსი-ლიერსი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 305 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 306 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 307 | სტანდარდი-ბევერენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.00 | 308 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 1,7 | 3,6 | 4,2 | 1,15 | 1,21 | 1,93 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 309 | შარლერუა-ლოკერენი | 3,4 | 3,5 | 1,9 | 1,72 | 1,21 | 1,23 |
| | | **ჩეხეთი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 17.25 | 334 | პრიბრამი-სპარტა | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 13.15 | 335 | ჟიჟკოვი-ბუდეიოვიცე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.30 | 336 | იაბლონეცი-სიგმა | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 19.30 | 337 | ზლინი-ბოჰემიანსი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.30 | 338 | ბანიკი-ლიბერეცი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 19.30 | 339 | ჰ.კრალოვე-ტეპლიცე | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 19.30 | 340 | ბლშანი-ბრნო | 2,05 | 3,0 | 3,5 | 1,21 | 1,29 | 1,61 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 19.40 | 341 | სლავია-სინოტი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 342 | სლავია-სინოტი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **პოლონეთი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 343 | ოდრა-ლეგია | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |
| 19.00 | 344 | ვისლა-გურნიკი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 345 | ვისლა-გურნიკი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 19.00 | 346 | პლოცკი-რუხი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 19.00 | 347 | პოლონია-ზაგლებე | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 348 | ვიძევი-გარბარნია | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 21.15 | 349 | კატოვიცე-გროცლინი | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| 21.15 | 350 | ამიკა-ლეხი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| | | **თურქეთი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 351 | დიარბაქირი-ბეშიქთაში | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| 22.00 | 352 | დენიზლი-ფენერბაჩე | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 364 | პარტიკი-სელტიკი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| | | **დანია. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 385 | ოლბორგი-ორჰუსი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 386 | ბრიონდბი-კოგე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 387 | ბრიონდბი-კოგე 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 388 | ოდენსე-ფარუმი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 389 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 18.00 | 390 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 20.35 | 391 | აკადემისკი-ესბიერგი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **ავსტრია. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 400 | ზალცბურგი-ბრეგენცი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 22.30 | 401 | აუსტრია-რიდი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 402 | აუსტრია-რიდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.30 | 403 | კერნტენი-შტურმი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 22.30 | 404 | გრაცერი-ადმირა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 405 | გრაცერი-ადმირა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.30 | 406 | პაშინგი-რაპიდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. VII ტური** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 407 | ციურიხი-ვილი | 1.75 | 3,3 | 4,4 | 1,13 | 1,25 | 1,83 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 21.30 | 408 | სერვეტი-თუნი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 18.45 | 409 | ბაზელი-იანგ ბოისი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 410 | ბაზელი-იანგ ბოისი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 19.15 | 411 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი. VII ტური** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 412 | სიონი-ლუცერნი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 19.15 | 413 | კრიენსი-დელემონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.15 | 414 | სტ.გალენი-აარაუ | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. VII ტური** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 415 | ვინტერთური-ბელინცონა | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 23.00 | 416 | ივერდონი-კონკორდია | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 417 | ბადენი-შაფჰაუზენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.30 | 418 | ვოლენი-ლოზანა | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| | | **იტალია. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი.** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 451 | რომა-ლაციო | 2.6 | 3,0 | 2.6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| | | **საფრანგეთი. თასი. ½ ფინალი.** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 453 | მარსელი-მონაკო | 2.15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **ჰოლანდია. თასი. ½ ფინალი.** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 455 | ფეიენოორდი-აიაქსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **ჩეხეთი. თასი. 1/4 ფინალი.** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 457 | ბანიკი-ზლინი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.30 | 458 | ტეპლიცე-სლავია | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 19.30 | 459 | ჟიჟკოვი-იაბლონეცი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | **½ ფინალი. I ეტაპი.** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 460 | ვიძევი-ვისლა | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 20.00 | 461 | რადომსკო-პლოცკი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **½ ფინალი. (ნეიტრალურზე)** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 462 | რეინჯერსი-მაზერველი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 463 | ინვერნესი-დანდი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| | | **შვეიცარია. თასი. 1/2 ფინალი.** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 23.15 | 465 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| | | **ამხანაგური მატჩი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 15.00 | 466 | კორეა-იაპონია | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 02.10 | 469 | ორიენტე-რასინგი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 02.10 | 470 | უნივერსიტარიო-ნასიონალი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 04.40 | 471 | სანტოსი-ელ ნასიონალი | 1,45 | 3,6 | 4,0 | 1,03 | 1,06 | 1,89 |
| 04.40 | 472 | 12 დე ოქტუბრე-ამერიკა | 3,6 | 3,4 | 1,6 | 1,74 | 1,1 | 1,08 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 04.10 | 473 | რივერ პლეიტი-ემელეკი | 1,3 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,66 |
| 04.10 | 474 | ლიბერტადი-დეპორტივო კალი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 603 | კიოლნი-კრეფელდი | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,6 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**16 აპრილი**

24.00 2401 არსენალი-მანჩესტერი ------------- 1,8 ------------------------------------ 2,0

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

**16 აპრილი**

24.00 2201 არსენალი-მანჩესტერი ------------- 1,95 ------------------------------------ 1,65

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

**16 აპრილი**

24.00 2501 არსენალი-მანჩესტერი 3,0 2,8 2,0

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

------------------------------------ კი ------------------------------------ არა

**16 აპრილი**

24.00 2301 არსენალი-მანჩესტერი ------------- 1,55 ------------------------------------ 2,1

## I ტაიმის შედეგი

**16 აპრილი**

24.00 2001 არსენალი-მანჩესტერი 2,9 2,05 3,4 1,2 1,56 1,27

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 2101 არსენალი-მანჩესტერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

## ფორმულა 1. სან მარინო. 19 აპრილი (23.45)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწრ. წრე | 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი --------- 2,0 | 4101 -------- 1,2 | 4201 --- 1,07 | 2,0 | | |
| ბარიკელო ---------- 4,4 | 4102 -------- 1,5 | 4202 ----- 1,2 | 4,0 | | |
| რაიკონენი ---------- 5,5 | 4103 -------- 1,6 | 4203 --- 1,25 | 5,0 | ფერარი | 1,4 |
| კულტჰარდი ------- 5,5 | 4104 -------- 1,6 | 4204 --- 1,25 | 7,0 | მაკლარენი | 3,0 |
| მონტოია ------------ 8,0 | 4105 -------- 2,5 | 4205 --- 1,25 | 3,2 | უილიამსი | 6,0 |
| რ.შუმახერი ------- 12,0 | 4106 -------- 3,0 | 4206 --- 1,25 | 10,0 | რენო | 15,0 |
| ალონსო ----------- 30,0 | 4107 -------- 5,0 | 4207 ----- 1,7 | 30,0 | ზაუბერი | 30,0 |
| ტრული ------------ 30,0 | 4108 -------- 5,0 | 4208 ----- 1,7 | 30,0 | ბარ | 30,0 |
| ბატონი ------------- 75,0 | 4109 ------- 15,0 | 4209 ----- 3,0 | 100,0 | ტოიოტა | 50,0 |
| ფრენცენი --------- 75,0 | 4110 ------- 15,0 | 4210 ----- 3,0 | 100,0 | ჯორდანი | 50,0 |
| ჰაიდფელდი ------- 75,0 | 4111 ------- 15,0 | 4211 ----- 3,0 | 100,0 | იაგუარი | 75,0 |
| ვილნევი ----------- 75,0 | 4112 ------- 15,0 | 4212 ----- 3,0 | 100,0 | მინარდი | 100,0 |
| ფიზიკელა ---------- 75,0 | 4113 ------- 15,0 | 4213 ----- 3,0 | 100,0 | | |
| პანისი -------------- 75,0 | 4114 ------- 15,0 | 4214 ----- 3,0 | 100,0 | | |


## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Ⴒ კორპუსი

**ბრომოლ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**

**კვირა 12.00–20.30**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# უბრალოდ ვიკა

## ფრენბურთის ფერია ყველას ეუბნება მე ქართველი ვარ!



„კანის“ ფრენბურთელები და, რა თქმა უნდა, ვიქტორია რავა ნებისმიერ პოდიუმს დაამშვენებდნენ

*15 წლის გოგონა იყო, საქართველოდან რომ აბარგდა და ბედის საძებნელად აზერბაიჯანში ჩავიდა. აქედან დაიწყო ვიქტორია რავას უცხოური ოდისეა, რომელიც აგერ, 13 წელია, გრძელდება. რავას პირველი უცხოური კლუბი ბაქოს* **„BCBK“** *იყო, მერე — სტამბოლის „ვექიფბანკი“, ფრანგული „კანი“, იტალიური „ბერგამო“ და ისევ „კანი“. აი, ვიკას გზა ჩაბნელებული გლდანიდან ლაჟვარდოვან კანამდე. გზად კი რავამ კენჭებივით აკრიფა ტიტულები — აზერბაიჯანის ჩემპიონობა, თურქეთის ვიცე-ჩემპიონობა, თურქეთის პრეზიდენტის თასი და ქვეყნის თასი, საფრანგეთის სამგზის ჩემპიონობა და ბოლოს, მოსახდენიც მოხდა — შარშან და წლეულს ფრენბურთის ფერიამ თავის „კანს“ ზედიზედ ორჯერ მოაგებინა ევროპული ფრენბურთის უმთავრესი ტურნირი — ჩემპიონთა ლიგა, თავად კი ზედიზედ ორჯერ ამ უპრესტიჟულესი ტურნირის დედოფალი, უძვირფასესი მოთამაშე გახდა.*

ჩამოქნილი სხეულისა და ნატიფი სახის ვიქტორია რავა დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფრენბურთელი და კანის სუპერგოგონაა. ვაგლახ, რომ 28 წლის ლამაზმანი უკვე საფრანგეთის მოქალაქე და როგორც სპორტსმენი, საქართველოსთვის დაიკარგა.

რავას საფრანგეთში დავუკავშირდით და სანამ ინტერვიუს დავიწყებდით, გვთხოვა — ვიქტორიას ნუ დამიძახებთ, უბრალოდ, ვიკათი მომმართეთო.

**— ვიკა, თხუთმეტი წლისამ უცხოეთში წასვლა და თამაში რატომ გადაწყვიტეთ?**

— მაშინ საქართველოში ძალიან რთული სიტუაცია იყო, ქვეყანა პრაქტიკულად ომის ზღვარზე მივიდა. საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, როგორც ფრენბურთელი ვერ გავიზრდებოდი. მართალია, თხუთმეტი წლის ვიყავი, მაგრამ ბავშვობიდან მშობლებმა დამოუკიდებლად ცხოვრებას მიმაჩვიეს და ძალიანაც არ გამჭირვებია. აზერბაიჯანში გატარებული სამი წელი კარგად მახსენდება. მაშინ ძალიან ბევრი გამოვცადე და ვისწავლე, რაც შემდგომში პიროვნებად და ფრენბურთელად ჩამოყალიბებაში დამეხმარა. აზერბაიჯანში საკმაო გამოცდილება რომ შევიძინე, თურქეთში გადავედი. მახსოვს, თავიდან ვერ შევეგუე იქაურობას, წასვლაც კი დავაპირე, მაგრამ ნელ-ნელა იქაც გავშინაურდი და სტამბოლში სამი წელი დავრჩი. მერე „კანში“ მიმიწვიეს და მეც სიხარულით დავთანხმდი. წარმოიდგინეთ, ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი მეპატიჟებოდა და უარი მეთქვა? თავიდან თურქებმა რაღაც პრობლემები შემიქმნეს, არ უნდოდათ ჩემი გაშვება, მაგრამ ყველაფერი მალევე მოგვარდა. კარგად მახსოვს, 1996 წელი იყო, ერთი სეზონი ვითამაშე, მერე იტალიაში, „ბერგამოში“ გავატარე ერთი სეზონი, საიდანაც ისევ კანში დავბრუნდი და დღემდე აქ ვარ. აქედან არსად წასვლას აღარ ვაპირებ.

**— ამდენი იმოგზაურეთ, მაინც რომელმა ქვეყანამ მოგხიბლათ ყველაზე მეტად?**

— საფრანგეთმა. აქ ყველაფერი იდეალურადაა. ძალიან ძნელია სიტყვებით აგიხსნათ, თუ რატომ შემიყვარდა საფრანგეთი, უბრალოდ, აქ უნდა იცხოვროთ და მიხვდებით. განსაკუთრებული ქალაქია კანი. ზუსტად ისეთია, როგორიც ჩემ შინაგან ბუნებას შეესაბამება — პატარა, მყუდრო, ლამაზი ქუჩებით, პლიაჟით... კანში ძალიან ბედნიერი ვარ.

**— ასეთი ბედნიერი თბილისში იქნებოდით?**

— თბილისი ყოველთვის დარჩება ჩემს უსაყვარლეს ქალაქად. არასდროს დამავიწყდება თბილისში გატარებული ბავშვობის წლები. ახლაც მახსოვს ჩემი უბანი, სკოლა, მეგობრები. საშინლად მენატრება თბილისი, იცით, ყველაზე მეტად რისი ნოსტალგია მაწუხებს? ყოფილა დღეები, როცა მე და ჩემი მეუღლე ამირან ჯაოშვილი სტუმრების მიღებას ვერ ავუდიოდით, იყო დილამდე ქეიფი. მართალია, ალკოჰოლი არ მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ დილამდე დამილევია მეგობრებთან ერთად. აი, ეს მენატრება — ქართული სუფრა და სადღეგრძელოები. აქ რომ მთელი ღამე ვიქეიფოთ, მეორე დილას გაზეთები აჭრელებული იქნება ჩემი ფოტოებით. და კიდევ, ძალიან მენატრება ქართული კერძები, ჩვენი სამზარეულო მსოფლიოში საუკეთესოა.

**— თქვენ არ იცით ქართული კერძების მომზადება?**

— ვიცი, მაგრამ ამ საქმეში დედაჩემთან და დედამთილთან ახლოსაც ვერ მივალ. კანში ქართველი მორაგბეები თამაშობენ — ვიქტორ დიდებულიძე და ზვიად მათიაშვილი, ჩემი და ამირანის მეგობრები არიან. გიჟდებიან ჩემს ხაჭაპურზე და საცივზე. როცა დრო მაქვს, გავამზადებ ხოლმე და ბიჭებს ვეპატიჟები.

**— თბილისში ბოლოს როდის იყავით?**

— შარშან ზაფხულში. საერთოდ მე და ამირანი ყოველ წელს ჩამოვდივართ თბილისში. ძალიან მწყდება გული, რომ ყოველი ჩამოსვლისას თბილისი ისევ ისეთი გვხვდება, როგორიც დავტოვეთ. არანაირი წინსვლა, ისევ უშუქობა, უფულობა. ხალხის სევდიანი თვალები. იმედია, მალე ქალაქი ძველ სახეს დაიბრუნებს და ისეთი ხალისიანი იქნება, როგორიც ჩემს ბავშვობაში.

**— თქვენ ალბათ კანში დარჩებით საცხოვრებლად?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ ყველაფერი აქეთკენ მიდის. ალბათ ასე მოხდება.

**— კანში ძალიან პოპულარული იქნებით...**

— ოო, ეს კი მართლა ასეა. ხალხი ქუჩაში მცნობს, ავტოგრაფს მთხოვენ. ყოფილა შემთხვევები, ფოტოებიც გადამიღია უბრალო გამვლელთან. არ დაგიმალავთ და ძალიან მსიამოვნებს, როცა მცნობენ და ჩემდამი ყურადღებას იჩენენ.

**— მეუღლე როგორ ეგუება თქვენს პოპულარობას?**

— ამირანი ძალიან კარგი პიროვნება და მეუღლეა და ყველაფერს გაგებით უყურებს. მის ადგილზე სხვას შეიძლება ეჭვიანობის სცენები მოეწყო. იმდენს ვმოგზაურობ, რომ ხშირად სამ-ოთხი დღე ვერ ვნახულობთ ერთმანეთს, მაგრამ მთავარია, ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. ვთვლი,

რომ იდეალური ოჯახი მაქვს.

**— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?**

— ამირანიც ფრენბურთელია და კანის ვაჟთა გუნდში თამაშობს.

**— ვიკა, მრავალი ტიტული გაქვთ, რომელია ამათგან თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?**

— შარშან „კანთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალი მოვიგე. მაშინ პირველად გავხდი ლიგის უძვირფასესი მოთამაშე. დედამიწის ზურგზე ჩემზე ბედნიერი ადამიანი არავინ მეგულებოდა. წლეულსაც მოვიგეთ ოთხთა ფინალი და ისევ მაღიარეს უძვირფასეს მოთამაშედ, მაგრამ შარშანდელ სიხარულს სხვა გემო ჰქონდა.

**— თქვენ უკვე საფრანგეთის მოქალაქე ხართ. რატომ გადაწყვიტეთ ასე?**

— უკვე რვა წელია, საფრანგეთში ვცხოვრობ და აქ უცხოელად არავინ მთვლის. გარდა ამისა, საფრანგეთმა ძალიან ბევრი რამ მომცა და ამ ქვეყანასთან ვალში ვარ. მინდა, ეს ვალი სრულად გადავიხადო.

**— ვალის გადახდაში ალბათ საფრანგეთის ნაკრებში თამაშს გულისხმობთ...**

— დიახ, მინდა საფრანგეთის ნაკრებში ვითამაშო. ახლა საფრანგეთის ნაკრების გაახალგაზრდავება მიმდინარეობს და ზუსტად არ ვიცი, იქ ჩემი ადგილი მოიძებნება თუ არა.

**— ხუმრობთ თუ თქვენ ახალგაზრდა არ ხართ?**

— ჰა-ჰა-ჰა. არა, მართლა ასეა. 28 წლის ვარ და ორ-სამ წელიწადში შეიძლება ძველებურად ველარ ვითამაშო. აქ კი მომავლის გუნდს აკეთებენ. ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

**— საქართველოს რომ ქალთა ნაკრები ჰყოლოდა, მიიღებდით საფრანგეთის მოქალაქეობას?**

— არა და აუცილებლად საქართველოს ნაკრებში ვითამაშებდი. ვწუხვარ, რომ უყურადღებობის და უფულობის გამო ჩემი თაობის ბევრი ნიჭიერი ფრენბურთელი დაიკარგა და საქართველოში დღემდე არ არსებობს ქალთა ნაკრები.

**— ვიკა, საფრანგეთში და იმ ქვეყნებში, სადაც გითამაშიათ, თუ იციან, რომ ქართველი ხართ?**

— დიახ და ამას ყველგან ვამბობ. აქ უკვე მიეჩვივნენ იმას, რომ ქართველად მომიხსენიონ. მე ყველას ვეუბნები, რომ ეროვნებით ქართველი ვარ, საფრანგეთის კი მხოლოდ მოქალაქე. წლეულს ოთხთა ფინალის შემდეგ ჩემთან რუსი ჟურნალისტი მოვიდა და ეროვნება მკითხა, ამაყად ვუპასუხე, ქართველი ვარ-მეთქი.

**— თქვენ რამდენიმე სარეკლამო რგოლში გადაგიღეს და, როგორც ვიცი, პოდიუმზეც მდგარხართ.**

— დიახ, ესეც იყო, მაგრამ სერიოზულად ამ საქმისთვის არ მცალია. ფრენბურთი დიდ დროს მართმევს. ისე კი პოდიუმზეც გამივლია და ერთ-ერთ ფირმის სუნამოს ვუკეთებდი რეკლამას. ჩემი სარეკლამო პლაკატებით კანის ქუჩები აჭრელებული იყო.

**— კანის სარაგბო კლუბში ვიქტორ დიდებულიძე და ზვიად მათიაშვილი რომ თამაშობენ, მათ საქომაგოდ თუ დადიხართ?**

— დიახ თუ დრო მაქვს, მატჩს არ ვაცდენ. პირველად რომ წავედი რაგბის საყურებლად, არასდროს დამავიწყდება. ისეთი კურიოზი შემემთხვა, მეორე დღეს მთელი კანი ამაზე ჭორაობდა. გაინტერესებთ?

**— რა თქმა უნდა.**

— ამირანმა მითხრა, ბიჭები ხომ დადიან შენს საქომაგოდ, ჩვენც წავიდეთ, ვიქტორის და ზვიადის თამაშზეო. მანამდე რაგბი ტელევიზორშიც არ მენახა. კანში ნომერ პირველი სახეობა ფრენბურთია და მერე ფეხბურთი. რაგბი პოპულარობით მესამეა... ჰოდა, ავდექით და წავედით. დაიწყო თამაში და ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ ვიქტორს წიხლი ჩააზილა, ვიქტორმა ხურდა დაუბრუნა. ატყდა ჩხუბი, მე კი წამოვხტი და იმ ტიპს მთელი ხმით ფრანგულად ვაგინებდი. წარმოიდგინეთ, ჩხუბი შეწყდა და მორაგბეები და



გულშემატკივრები მე შემომაცქეროდნენ. თან მიცნეს, თითს იშვერდნენ, ეს ხომ რავაა, ქმარი გვერდზე უზის და სხვისი გულისთვის ყვირისო. აქ რა იციან, რომ ჩვენ, ქართველებს, ერთმანეთის გვტკივა და გულით ვქომაგობთ ერთმანეთს. ამის შემდეგ რაგბისკენ გახედვაც არ მინდოდა, ეს რა სასტიკი სპორტი ყოფილა? მაგრამ მერე შევეჩვიე და ახლა ამირანს იქით ვთხოვ, რაგბიზე წამიყვანოს.

**— ფრენბურთთან შედარებით რაგბი მართლაც სპორტის სასტიკ სახეობად მოგეჩვენებოდათ...**

— ეგრეა, ოღონდ რაგბის ნაღდი ვაჟკაცები თამაშობენ, ისეთები როგორებიც ვიქტორი და ზვიადი არიან. ორივემ ძალიან შეგვაყვარეს თავი, ალალი და მხიარული ბიჭები არიან, თან გოლიათები. ქუჩაში მათთან ერთად რომ გავივლი, ხალხი ჩურჩულებს, ნახე რავას და მის მეუღლეს დაცვა აუყვანიათო.

**— და ბოლოს, ვიკა, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი ქართულ ფრენბურთში?**

— ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა. მე თუ რამე ვიცი, მთლიანად ქართული ფრენბურთის სკოლის დამსახურებაა. მე ველარ დავეხმარები საქართველოს როგორც მოთამაშე, მაგრამ ვიქნები ელჩი. ანუ, თუ ჩემი სახელი და მოკრძალებული ავტორიტეტი რამეში საჭირო იქნება, ყველანაირად მზად ვარ. ერთი სიტყვით, აქ ვარ და თუ ერთად დავდგებით, ქართულ ფრენბურთს ავაღორძინებთ.

**ბაჩო სვანიძე**






# კოლოს ტყემალზე გაახსენდა
## მონტე კარლოში ამის კეთებას არაფერი სჯობს

**TENNIS MASTERS MONTE CARLO**

თიხნარი. საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

**პირველი წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (1, ესპანეთი) — უეინ ართურსი (ავსტრალია) 6:4, 6:1; **ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) — ენდი როდიკი (3, აშშ) 7:6 (7:5), 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (6, არგენტინა) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:4, 6:0; **რაინერ შიუტლერი** (8, გერმანია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:1, 6:2; **გუსტავო კუერტენი** (10, ბრაზილია) — მარდი ფიში (აშშ) 3:6, 6:1, 6:0; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ალექს კორეჩა (12, ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:3; **გასტონ გაუდიო** (13, არგენტინა) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 7:5, 6:2; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ფერნანდო გონსალესი (14, ჩილე) 6:4, 6:3



გუსტავო კუერტენი

მონტეკარლოური მასტერსტურნირის შარშანდელმა და შარშანწინდელმა ჩემპიონებმა — ესპანელმა ხუან კარლოს ფერერომ და ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა წლევანდელი შეჯიბრი წარმატებულად დაიწყეს.

ფერერომ ავსტრალიელი ართურსი შემუსრა, სამგზის მეროლანგაროსე ტროპიკელი კი, ვინაც იქ შარშან ჩასვლა მტკივანი ზურგის გამო ვერ შეძლო, შესამჩნევად ნერვიულობდა და ამერიკელ მარდი ფიშს მხოლოდ სამ სეტში მოერია.

ნამატჩევს ორივე — კუერტენიცა და ფეროროც მონტე კარლოში დაბრუნების სიამტკბილობაზე ლაღაობდა. გუგამ ისა თქვა, რომ შარშან უთამაშებლობამ თავის კვალი დააჩნია და სანამ იქაურობას ხელახლა გაეჩვეოდეს, ერთი-ორ მატჩში კიდევ გაწვალდება.

ფერერო კი დასძენდა, რომ სათულფე საფარზე ჩოგნაობას არაფერი ურჩევნია. „ცხადია, ჰარდზე თამაშიც ძალიან მიყვარს — ამბობდა იგი — მაგრამ თიხნარს მაინც ვერაფერი შეედრება. ახლა გაზაფხულია, მონტე კარლოში ტყემალი ჰყვავის და — ტყემალზე გამახსენდა — თიხნარზე ამის კეთებას არაფერი სჯობს."

მომავალ წრეში კოლოფერეროს თვისტომი, შარშანდელ როლანგაროსულ ფინალში მისი მძლეველი ალ კოსტა შეხვდება.



ხუან კარლოს ფერერო

ანდრე აგასის, ლეიტონ ჰიუიტის, მარატ საფინისა და როჯერ ფედერერის არყოფნაში ფერერო, კოსტა და კოსტაზე მეტად კარლოს მოია ტურნირის უცილობელ ფავორიტებად მიიჩნევიან.

ესპანურმა არმადამ ერთადერთი ზარალი იმ დღეს ალექს კორეჩას „ჩამორვის" სახით განიცადა. წლეულს ძალზედ უღიმღამოდ მოსარჯე კორეჩა ჭაბუკმა თანამემამულემ, ესპანელთა ამოსულმა იმედმა ფელისიანო ლოპესმა აჯობა. შეგახსენებთ, რომ ლოპესმავე დაჩოგნა იგი ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის პირველსავე წრეშიც.

სხვაგრივ — დღის უმთავრესი მოულოდნელობა ამერიკელ ენდი როდიკს შეემთხვა, ვინაც ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ ხეირიანი არც არაფერი გაუკეთებია (მემფისურ ფინალში ტეილორ დენტთან დამარცხებას თუ არ ჩავთვლით).

როდიკი ასევე ესპანელმა, 2001 წლის ჰამბურგული მასტერსტურნირის გამარჯვებულმა ალბერტ პორტასმა იმსხვერპლა. უნდა ვაღიარო, უჭკუოდ ვითამაშეო, აღიარებდა ნამატჩევს ენდი ბოი.

რაც შეეხებათ ადგილობრივ ფალავნებს, საპირველდღეო მკას მათგან მხოლოდ არნო კლემანი, გადატრიალებული მაჯის გამო წლეულს პრაქტიკულად უთამაშებელი კაცი გადაურჩა. მან ნიჭიერი (და ამ სეზონში ეგრეც ვერ გამორჩეული) ჩილელი გონსალესი გაამჯვა.

ძლეულ ფრანგთაგან უწლოვან გასკეს არგენტინელმა ნალბანდიანმა უყელა, ნიკოლა ესკუდეს — ესპანელმა ვისენტემ (4:6, 3:6), პოლ-ანრი მატიოს — პერუელმა ორნამ (4:6, 4:6), ხოლო ფაბრის სანტოროს — გერმანელმა შიუტლერმა.

ფრანგთა მთავარიმედი სებასტიან გროჟანი კი ტურნირს მის ლაწყებამდე, ტრავმირებულობის გამო გამოაკლდა.

ჰო, მართლა — ადგილობრივ ლიანგს კლემანის გარდა კიდევ გასულ კვირას კასაბლანკაში კარიერის პირველი ტიტულის მომხვეჭ ჟულიენ ბუტეს იმედიც ექნება. საქმეში ის ოდნავ მოგვიანებით უნდა ჩართულიყო.

**ლევან ძელაურაძე**

# პიტმა უიმბლდონის წინ შეხურება ითხოვა

**შვიდგზის** მეუიმბლდონე პიტ სამპრასი, ვისაც ჩოგანი შარშან აშშ-ის ღია პირველობის მოგებული ფინალის შემდეგ აღარ გაუქნევია, ლონდონური „სტელა არტუა ჩემპიონშიპსის" ორგანიზატორებს მისთვის საგანგებო საშვის ბოძებას ეაჯა.

შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი უიმბლდონისთვის მოსათელ სარბიელს წარმოადგენს და წლეულს 9-დან 15 ივნისამდე უნდა გაიმართოს. 14-გზის სლემტიტულოსან ელინოამერიკელს იქ 1995 და 1999 წლებში უმარჯვია, მაგრამ შარშან იქ გამოსვლას იმავე კვირაში მიმდინარე ჰალეურ ტურნირზე ჩავიდა.

ორგანიზატორთათვის გაგზავნილ აჯაში სამპრასმა ისიც დასძინა, რომ წლეულს გეზი მხოლოდ მათ ტურნირზე აქვს აღებული და ჰალეობაზე ჩასვლას არანაირად არ გეგმავს.



პიტ სამპრასს ეს თასი შვიდჯერ აღუმართავს, მაგრამ მაინც არ ეთმობა

პისტოლ პიტის ამგვარი უსტრის შემდეგ დასკვნა თავისთავად კეთდებოდა და საქმეში თუნდ ჩაუხედავმა ხალხმაც ასე განსაჯა:

რაკილა პიტი უიმბლდონისთვის შესახურებელ ტურნირზე გამოსვლას ლამობს, ესე იგი ეუიმბლდონება კიდეც!

ხოლო რა შანსები აქვს სექტემბრის შემდეგ ხელგაუნძრეველსა და პირმშო ვაჟის შეძენის შემდეგ ხელში შიბაქდაჭერილ კაცს, ამაზე ჯერ არავინ საუბრობს.

სხვას არც თავად პიტის ამქარი იუწყება.

ჩვენის მხრით კი მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ წლეულს „ქუინზ კლაბში" ჩასასვლელ მეჩოგნეებს კვლავაც ლეიტონ ჰიუიტი უძღვება. კისკასი ოზბიჭი შარშან ჯონ მაკინროის შემდეგ მეორე კაცი გახდა, ტურნირი ზედიზედ სამჯერ რომ მოუგია, ხოლო წლეულს უკვე იმას ეცდება, მაკინროისა და ბეკერის შემდეგ მესამე ტურნირის ოთხგზის ტიტულოსანი გახდეს.

## 12 საქართველოს ჩემპიონატი

15 აპრილი. რუსთავი

**აზოტი 90:93 დინამო**

22:21, 16:23, 25:20, 27:29

**აზოტი:** ქლენტი (35), არწივიძე (2), გოგობერიშვილი (12), ბერუაშვილი (16), მაჭარაძე (11); ჯიმშელეიშვილი (6), ტყეშელაშვილი (5), გაბისონია (3)
**დინამო:** თორთლაძე (4), ხოშტარია (19), ბეჟანიშვილი (22), მუპე (8), ოგანესიანი; სიროვინა (20), მინაშვილი (9), აბრამიძე (7), ჩხეიძე (2), ნინიაშვილი (2), ვენსკუნასი, მარკოიშვილი
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი; **კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

# ეს ბიჭი როგორ დაკარგეთ?!

## არჩილ ქლენტმა ნაკრების მწვრთნელს თავი მოაწონა

**გუშინ** დრაჟენ ბრაიკოვიჩმა უთარჯიმნოდ პირველად გამოიყვანა დინამოელები სათამაშოდ. არა, ჩვენს ჟურნალისტებს საიდან უნდა სცოდნოდათ ხორვატიული და დრამატული მატჩის შემდეგ ყველა კამერამ თუ დიქტოფონმა აზოტელთა თავკაცი ოთარ ხმელიძე მოძებნა. ამ დროს კი ბრაიკოვიჩი ფედერაციის ჩინოსნებთან ერთად მოშორებით იდგა და მშობლიურ ენაზე რაღაცას ლაპარაკობდა, აშკარად განცვიფრებული იყო.

გულმა ხორვატისკენ გამიწია, აღმოჩნდა, რომ ბრაიკოვიჩი „აზოტის" მე-7 ნომერს აღფრთოვანებინა. ცხადია, თბილისელთა თავკაცმა უწყოდა, რომ ეს კალათბურთელი ერთიოდ თვის წინ „დინამოში" ირიცხებოდა და გაუგებელი იყო, კლუბის ხელმძღვანელებმა ეს ბიჭი სხვას როგორ დაუთმეს.

ალბათ იცით, შვიდნომრიანი მაისურით აზოტელთა შემადგენლობაში არჩილ ქლენტი თამაშობს. ისე, რომ გვითქვა, დაფრინავსო, არც არაფერი დაშავდება. ქლენტი გუშინ ფაქტობრივად მარტო გაუძალიანდა ჩვენში ყველაზე მდიდარ და ღონიერ „დინამოს". ცოდვას ვერ ვიტყვით, ყველა აზოტელმა ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ ისიც ცოდვა იქნება, ქლენტის დიდებული თამაში საკადრისად არ შევაფასოთ.

ქლენტი წაგებული მატჩის გმირია. თამაშის დასრულებამდე 15 წამით ადრე როცა მისი „აზოტი" 3 ქულით აგებდა, თამაშიდან რომ არ გავარდნილიყო, ეგებ მატჩიც გადაერჩინა. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტ სამქულიანს, რომლის სროლა მიხეილ ბერუაშვილს არ დაცალეს და რომელსაც თამაშის ოვერტაიმში გადაყვანა შეეძლო, უთუოდ ქლენტი შეასრულებდა და ვინ იცის, რა მოხდებოდა...

დრაჟენ ბრაიკოვიჩი ქლენტის შეჩერებას ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე სულ ტალიკ-ტალიკ ბიჭებს ავალებდა, მაგრამ ვერც დავით თორთლაძემ, ვერც ირაკლი ხოშტარიამ და ვერც რევაზ ჩხეიძემ ეს ვერ მოახერხეს. საერთოდ, „დინამოს" თავისი გრძელი სათადარიგოთა სკამი ისე აქვს გადანაწილებული, რომ თითოეულ პოზიციაზე ერთმანეთზე უკეთესი კალათბურთელები ჰყავს. რუსთაველებს კი ასე არ ულხინთ, ირაკლი ჯაფარიძის დაშავების შემდეგ კი საერთოდ მოუშიშვლდათ ფარქვეში. აზოტელებიც უკანა ხაზს, უფრო სწორედ ქლენტს დაეყრდნენ და იმედი მოახერხეს, დინამოელებს უპირატესობა გაუბათილეს, რომელსაც თბილისელები მეფარეთა წყალობით ფლობდნენ.

მესამე მეოთხედის დასაწყისში „დინამომ" 11-ქულიან უპირატესობას მიაღწია და თითქოს, საბოლოოდ გატეხა „აზოტი", მაგრამ არჩილ ქლენტმა, რომელიც არც თავის მეურვეთ აზარებდა და არც მეტოქის გოლიათებს ეპუებოდა, კვლავ განაახლა „დინამოს" ზონაში ძრომიალი. შედეგიან გარღვევებს არჩილი შორეულ სროლებსაც უნაცვლებდა და რუსთაველებს ბოლო მეოთხედში ლიდერობა დაუბრუნა.

ბოლო მეოთხედში თანაბარ ბრძოლაში დინამოელებმა აზოტელთა რამდენიმე უზუსტობით ისარგებლეს და სწრაფი კონტრშეტევებით პრაქტიკულად გაინაღდეს კიდეც გამარჯვება — საფინალო სირენამდე წუთით ადრე 6 ქულით დაწინაურდნენ. ისევ იყოჩაღა ქლენტმა და ზუსტი სამქულიანით მასპინძლებს შანსი გაუჩინა. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ თამაში დამატებით ხუთწუთეულში უნდა გაგრძელებულიყო. მორიგ შეტევაში მამუკა აბრამიძემ გარბენი გააკეთა და „აზოტს" ოც წამში 3 ქულის გაბათილება ესაჭიროებოდა. აქ კი წარმოუდგენელი რამ მოხდა, დასასრულამდე 15 წამით ადრე რამაზ გოგობერიშვილს სამქულიანის ხაზთან ბურთის მიღებისას ოფლით მორწყულ იატაკზე ფეხი გაუსრიალდა... ქლენტი იძულებული გახდა, მეტოქის შეტევა დროის მოგების მიზნით ჯარიმით შეეჩერებინა, ეს მისთვის 5-ე პერსონალური იყო...

დინამოელმა აბრამიძემ კარგი საჩუქარი უბოძა რუსთაველებს, ორივე საჯარიმო სროლა გააცუდა, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, მიხეილ ბერუაშვილს გამათანაბრებელი სამქულიანის სროლა აღარ დააცალეს.

**ირაკლი პერტაია რუსთავიდან**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 25 | 4 | + 591 | 54 |
| სტუ | 30 | 23 | 7 | + 466 | 53 |
| ბასკო | 28 | 22 | 6 | + 664 | 50 |
| თსუ | 30 | 18 | 12 | + 125 | 48 |
| აზოტი | 29 | 18 | 11 | + 76 | 47 |
| მაკაბი | 30 | 7 | 23 | - 541 | 37 |
| სსუ | 30 | 7 | 23 | - 605 | 37 |
| აკადემია | 30 | 6 | 24 | - 405 | 36 |
| ქუთაისი | 28 | 6 | 22 | - 371 | 34 |






[illegible] ფოტოები

დრაჟენ ბრაიკოვიჩმა „დინამოდან" ამას წინათ გაშვებული არჩილ ქლენტი ინატრა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




REUTERS გამოცემიდან

მაიკლ ჯორდანი ამჯერად წაგებული მიდის კალათბურთიდან

# ჯორდანი ხარ, ესე იგი, მტერი ხარ!

14 აპრილი

**იუტა 83:91 სან ანტონიო**
**იუტა:** მელოუნი (20), კირილენკო (18)
**სან ანტონიო:** პარკერი (25), დანკანი (21 ქულა, 15 მოხსნა, 9 პასი, 6 დაფარება)

**დეტროიტი 89:88 კლივლენდი**
**დეტროიტი:** უილიამსონი (18)
**კლივლენდი:** დევისი (25 ქულა, 12 პასი, 9 მოხსნა), ილგაუსკასი (22)

**ვაშინგტონი 79:93 ნიუ იორკი**
**ვაშინგტონი:** ჯორდანი (21), ჰიუზი (16)
**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (23)

**ატლანტა 100:84 ორლანდო**
**ატლანტა:** ნიუბილი (23), ტერი (23)
**ორლანდო:** მაკგრეიდი (22)

**დალასი 109:106 სიეტლი**
**დალასი:** ნოვიცკი (39 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ლაფრენცი (17)
**სიეტლი:** ალენი (35), ლუისი (21)

**გოლდენ სტეიტი 113:122 კლიპერსი**
**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (29), ჯემისონი (26)
**კლიპერსი:** პიატკოვსკი (27), ბრენდი (26 ქულა, 23 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 74:87 ნიუ ორლეანი**
**ნიუ ჯერსი:** მარტინი (23 ქულა, 15 მოხსნა), ჯეფერსონი (21)
**ნიუ ორლეანი:** დევისი (19), მაშბურნი (17)

2002-03 წლების რეგულარული ჩემპიონატი დღეებს ითვლის, 16 აპრილს სეზონი დასრულდება, ვისთვის საბოლოოდ, რჩეულთათვის კი ეს იქნება დროებითი მიმინება ხელმეორედ დაბადებამდე წინ. საუკეთესო 16-ეულს წინ ნამდვილი თამაშები, პლეი ოფი ელის.

მათგან კი, ვისთვისაც ფუჭად ჩაიარა თითქმის 6-თვიანმა მარათონმა, პირველ რიგში აღვნიშნოთ მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონ ვიზარდსი".

რა უნდა ექნა მაიკლს, თავს ზემოთ ძალა არაა. მან ვერც ხელმძღვანელ-ადმინისტრატორობაში მოუტანა დიდება ამ ჯაგლაგ გუნდს და მერე საკუთარ მოედანზეც დამარცხდა, ვეღარც მოთამაშეობაში გაიტანა თავისი.

ამერიკელებს უყვართ ამგვარი ფრაზების წამოსროლა — „მეორე ხარ, ესე იგი, წაგებული". ამ შემთხვევაში ეს გამოთქმა შეიძლება ასე გადაკეთდეს — „მაიკლის გუნდი მეცხრეა, მაშასადამე ბოლო". ჯორდანმა ვერ უშველა დედაქალაქელებს. ის მატჩში საშუალოდ თითქმის 20 ქულას იხვეჭდა, რაც მისი ასაკის გათვალისწინებით გადასარევი შედეგია და ამ დიდი კალათბურთელის მიმართ აღფრთოვანებას და პატივისცემას გვირღმავებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ რომ მაიკლ ჯორდანი ხარ, ნბა-ში საკუთარ ადგილს არავინ დაგითმობს და ეს გუნებაშიც არ გაუვლიათ იმ რვა გუნდს, რომლებიც „ვაშინგტონს" წინ ჩაუდგნენ და პლეი ოფიდან გამოაძევეს. ჯორდანს პატივს სცემს და ეთაყვანება ვთქვათ „მაიამი ჰითი", პლეი ოფში ვერმოხვედრილი გუნდი და ეს ყველას დაანახა, მაიკლს კლუბში მუდმივი ნომერი უბოძა, მაგრამ აბა, მილუოკელებს ვკითხოთ, რას წარმოადგენს ჯორდანი მათთვის. პასუხის შინაარსი ცალსახა იქნება — ჯორდანი და მისიანები მილუოკელებისთვის (და პირიქით) მხოლოდ მტრები არიან.

ჯორდანს კი ნბა-ში ერთი თამაშიღა დარჩენია, ისიც გასვლა და იმ შეხვედრაში „ფილადელფიას" რომც აჯობოს, ამ ჯერზე მაინც უხასიათოდ წავა კალათბურთიდან. გუშინწინ მისმა გუნდმა ზედიზედ მეხუთედ წააგო საკუთარი ქომაგების თვალწინ.

ჟურნალისტები მატჩის შემდეგ, ცხადია, შეესივნენ ჯორდანს და ჰკითხეს, თავს როგორ გრძნობთ კალათბურთიდან მესამე წასვლის წინო, პასუხი კი არა დაღლილი ლეგენდისგან, არამედ „ვაშინგტონის" იმედგაცრუებული ხელმძღვანელისგან მიიღეს, „მომავალ სეზონში აუცილებლად გადავახალისებთ გუნდს, გავუშვებთ მოთამაშეებს, რომლებმაც გამოცდა ვერ ჩააბარეს" — თქვა ჯორდანმა, რომელიც მგონი უკვე შეუდგა „ვიზარდის" პრეზიდენტის ფუნქციების შესრულებას.

ამასობაში კი პლეი ოფში მოხვედრილთა შორის გრძელდება უკეთესი ადგილებისთვის ბრძოლა. ტიტანთა კონფერენციაში, დასავლეთში „სან ანტონიომ" „იუტა" მისსავე მოედანზე დაანარცხა და რეგულარული ჩემპიონატის ლიდერის წოდება საბოლოოდაც ხელთიგდო. ამ წოდებას ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ რეგულარული ჩემპიონატის მომგებ გუნდს პლეი ოფში ნებისმიერ მეტოქესთან ექნება მოედნის უპირატესობა.

მანამდე მთელი სეზონის განმავლობაში მოპირველე „დალას მავერიკსს" კი ოდენ მესამე ადგილი და მეტოქედაც „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" შერჩა. „დალასს" ერთი თამაში კი დარჩენია „სან ანტონიოსთან", მაგრამ მოგების შემთხვევაშიც ვერაფერს ავნებს თანამეტატელს. ისე კი დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, რომ „მავერიკსს" გადაავიწყდა, როგორ უნდა თამაშის მოგება. აგერ, უმოტივაციო „სიეტლსაც" ძლივს წაჰგლიჯა გამარჯვება.

საშუალო გუნდებით გადაპენტილ აღმოსავლეთში კი, ჩანს, ბოლომდე გაიწელება ლიდერობისთვის დავა. ჯერჯერობით დაწინაურდა „დეტროიტი", რომელმაც ისარგებლა კონკურენტ „ნიუ ჯერსის" მარცხით და „კლივლენდის" ვაი-ვაგლახით ძლივს შემდეგ გალიდერდა. ეს გუნდი თანდათან აღწევს თავს პანიკას, რომელიც ავტოქალაქში მათი საუკეთესო მოთამაშის, დაცვის სპეციალისტ ბენ ვოლესის ტრავმამ გამოიწვია. თანაც „დეტროიტს" ბედად იოლი მეტოქეები შეხვდა, „ნიუ ჯერსი" კი ისეთებთან ჭიდილში იხვითქება, როგორიც, მაგალითად, მადაზე მოსული „ნიუ ორლეანია".

ჯაგლაგი „ატლანტა ჰოქსი" ახლა მოდის ხასიათზე. ჯორჯიელებმა მეპლეიოფე „ორლანდოს" შინ ძლიეს და ზედიზედ გამარჯვებათა ჯაჭვს მეოთხე რგოლიც წამოაცვეს, თუმც ისინი ვერაფერს შეცვლიან და პლეი ოფს ზედიზედ მეოთხეჯერ გააცდენენ. არადა, თავიდანვე ასე რომ ეთამაშათ, არც მწვრთნელის შეცვლა დასჭირდებოდათ და არც გენერალური მენეჯერის.

**ქოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 50 | 31 | 61,7 |
| ნიუ ჯერსი | 49 | 32 | 60,5 |
| ფილადელფია | 47 | 33 | 58,8 |
| ინდიანა | 46 | 34 | 57,5 |
| ნიუ ორლეანი | 46 | 35 | 56,8 |
| ბოსტონი | 43 | 38 | 53,1 |
| ორლანდო | 42 | 39 | 51,9 |
| მილუოკი | 41 | 40 | 50,6 |
| ვაშინგტონი | 37 | 44 | 45,7 |
| ნიუ იორკი | 37 | 44 | 45,7 |
| ატლანტა | 35 | 46 | 43,2 |
| ჩიკაგო | 29 | 52 | 35,8 |
| ტორონტო | 24 | 56 | 30,0 |
| მაიამი | 24 | 57 | 29,6 |
| კლივლენდი | 16 | 65 | 19,8 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 60 | 21 | 74,1 |
| საკრამენტო | 58 | 23 | 71,6 |
| დალასი | 59 | 22 | 72,8 |
| მინესოტა | 50 | 31 | 61,7 |
| პორტლენდი | 49 | 31 | 61,3 |
| ლეიკერსი | 48 | 32 | 60,0 |
| იუტა | 47 | 34 | 58,0 |
| ფინიქსი | 44 | 36 | 55,0 |
| ჰიუსტონი | 41 | 39 | 51,3 |
| სიეტლი | 39 | 42 | 48,1 |
| გოლდენ სტეიტი | 38 | 43 | 46,9 |
| მემფისი | 28 | 52 | 35,0 |
| კლიპერსი | 26 | 55 | 32,1 |
| დენვერი | 17 | 63 | 21,3 |

*შრიფტით გამორჩეული გუნდები გავიდნენ პლეი ოფში*



საქართველოში მშვიდი სენბერნარები კი არა, ავი ძაღლები გვჭირდება

*ამბობენ, მუნჯის ენა დედამ იცისო, ჩვენ კი ისა ვთქვათ, რომ ძაღლის ენა რუსმა იცის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან ძაღლებს რატომღაც რუსულად ელაპარაკებიან და ეს ოთხფეხებიც ორფეხების რუსულ ბრძანებებს ისე ემორჩილებიან, კაცს ნამდვილად შეგშურდება. ამაში ამ შაბათ-კვირასაც დავრწმუნდით ვაკის პარკში მდებარე ჩოგბურთის კლუბ „მუხის ფოთოლში“, სადაც საქართველოს სასპორტო-სასამსახურო ძაღლების კავშირმა შეჯიბრება მოაწყო*

# ძაღლები, ძაღლები ჩქარა!

**ძაღლების** ამგვარი ასპარეზობა საქართველოში მეშვიდედ, „მუხის ფოთოლში“ კი მესამედ ჩატარდა.

ერთი შეხედვით, სპორტი და ძაღლი სხვადასხვა პოლუსებზე არიან, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ ერთიც და მეორეც სწორედ პოლუსმა დაამეგობრა. რომ არა ძაღლი, პოლუსთა დაპყრობა უფრო დაგვიანდებოდა, რაც მერე სპორტულ შეჯიბრებად უფრო იქცა და ამ საქმეში ალიასკა დაწინაურდა, სადაც მარხილშებმული ძაღლებით რბოლაში ჯეკ ლონდონის გმირები ცოცხლდებიან.

ძაღლი მთამსვლელთა დიდი მეგობარიცაა, უფრო სწორად, ხიფათში ჩავარდნილ ალპინისტთა (და არა მხოლოდ მათი) დამხმარე, რაც ზვავში ჩამარხულთა მოძებნაში გამოიხატება.

მაგრამ ვიდრე ჩვენთან ძაღლებშებმული მარხილებით რბოლები გაიმართება, კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის. ჯერჯერობით მაინცდამაინც არც ჩვენს მთებში ჩამოწოლილი ზვავები ემუქრება მთამსვლელებს, რადგან ისინი კანტიკუნტადღა დადიან მწვერვალებზე.

ახლა ჩვენს მთებში მოარულ შინაურსა თუ უცხოელს ხიფათი ზვავზე მეტად ყაჩაღებისგან უფრო ელით, რომლებიც იქ პისტოლეტებით, ავტომატებითა და ნიღბებით შეიარაღებულნი დაძრწიან და არც სტუმარს ინდობენ, არც მასპინძელს.

— ამიტომაც ადამიანის მხსნელ, თოვლში გაწაფულ ოთხფეხა მეგობრებზე მეტად ჩვენთან აგრესიული ძაღლებია საჭირო, ისეთები, რომლებიც დასაცავს დაიცავენ, გაქცეულ დამნაშავეს კი დაიჭერენ, პატრონის მოსვლამდე უდარაჯებენ, მერე კი ციხისკენ მიმავალ გზაზე უბადრაგებენ — გვეუბნება კინოლოგიური კავშირის თავმჯდომარე ეკატერინე მიქაელიანი — ამიტომაც ჩვენს შეჯიბრებაში ძაღლებს ამ ნაწილშიც ვცდით. საერთოდ კი, შეჯიბრის პროგრამა სამი ნაწილისგან შედგება. ესენია: წვრთნის ზოგადი კურსი, დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა, დაცვითი და სადარაჯო სამსახური. ეს საკმაოდ რთული გამოცდაა და ამ პროგრამით ბევრი ძაღლი ვერ გამოვა.

— ამ შეჯიბრებაში თორმეტი ძაღლი მონაწილეობდა. მეტი რომ ყოფილიყო, ასაკობრივ ჯგუფებად დავყოფდით, მაგრამ ვინც გამოვიდა, მეტნაკლებად საკმაოდ მაღალი მომზადების დონე გამოავლინა. სასიამოვნოა, რომ ასპარეზობამ საკმაო ინტერესი გამოიწვია და ტრიბუნები ვაკის პარკის დამსვენებლებითაც გაივსო. საერთოდ, აქ მშვენიერი ატმოსფეროა: ლამაზი ბუნება, სისუფთავე, მშვიდი მაყურებელი_ კორტების ხელმძღვანელობაც ყოველმხრივ გვეხმარება და აქვე ჩვენს საერთო სკოლასაც გავაკეთებთ — კმაყოფილებით გვითხრა კინოლოგიური სკოლის დირექტორმა ვიტალი კამიშინსკიმ.

საინტერესოა, რომ კონკურსში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერ გიგი წერეთლის, პარლამენტარ ვლადიმერ ქარსელაძის, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის მალხაზ ბაძაღუას, ბიზნესმენ ლევან ზოდელავასა და სხვათა ძაღლები. შეჯიბრებაში სხვადასხვა უნარ-ჩვევებით და გაწვრთნილობით არაერთმა ძაღლმა გამოიჩინა თავი, მაგრამ მრავალჭიდში ყველას მაინც პარლამენტარ არჩილ გოგელიას გერმანულმა ნაგაზმა როკი ქემონ დიკმა აჯობა, რომელმაც აბსოლუტურ წარმატებას მეოთხედ მიაღწია.

მაგრამ კორტები ხომ ძაღლების შეჯიბრებისთვის არ მოწყობილაო, იკითხავს მკითხველი.

— კორტები თავის ფუნქციას ასრულებს — გვეუბნება ჩოგბურთის კლუბ „მუხის ფოთოლის“ პრეზიდენტი გიორგი გახოკიძე — აქ, ბუნებრივია, ჩოგბურთის მოყვარულები ვარჯიშობენ, მაგრამ ჩვენი ფუნქცია მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. კლუბის შენობის რემონტის მერე აქ მოვაწყობთ ფოტოგამოფენებსაც, სადაც ასახული იქნება არა მხოლოდ ჩოგბურთი და საერთოდ სპორტი, არამედ ბუნება, ფლორა და ფაუნა, რაც, ვფიქრობთ, ვაკის პარკს დაამშვენებს და დამსვენებლებსაც სიამოვნებას მოჰგვრის. აქვე ჩავატარებთ ლექციებს სპორტულ თემებზე, ეკოლოგიაზე, ამ სფეროებისადმი მიძღვნილი წიგნების პრეზენტაციებს, რასაც დიდი შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება.

ბოლოს გიორგი გახოკიძემ თბილი სიტყვებით მოიხსენა ყველა, ვინც ამ შეჯიბრებისთვის პრიზები დააწესა და ასპარეზობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაში წილი დაიდო. ესენია: დაცული მეურნეობებისა და ნაკრძალების სახელმწიფო დეპარტამენტი (გიორგი ასათიანი), სამშენებლო ფირმები „განიმედი“ (გოგი ცინცაძე), „ისიდა“ (ზურაბ ჩხეიძე), შპს „ოს“ (გიორგი დავითაშვილი), ტელეკომპანიები „იმედი“, „აიეტი“, „მუხის ფოთოლის“ წევრი ვახტანგ ყურაშვილი და სხვები.

**ავთანდილ ტყვიშელი**

ჭადრაკი

# პოლგარმა მეოთხე კაცს ვეღარ გაუძლო

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ამ დღეებში დაიწყო საჭადრაკო ტურნირი, რომელსაც მადიარმა ორგანიზატორებმა უცნაური სახელი დაანათლეს — „ნიჭი და სითამამე“. ტურნირის კონკრეტ ული ორგანიზატორი კი ამ ქვეყნის ჭადრაკის ფედერაცია და პრემიერ-მინისტრი, დოქტორ პეტერ მედჯიესია.

მადიარებმა ტურნირის ათი მონაწილიდან ხუთი თავიანთი ქვეყნიდან შეარჩიეს, რითაც ეს საერთაშორისო ტურნირი უფრო უნგრეთის ღია პირველობას დაემსგავსა. ისე, უნგრეთს ნაღდად არ აკლია ნიჭიერი და თამამი მოჭადრაკეები...

„ნიჭიერებს და თამამებს“ ოთხი ტურის შემდეგ 3,5 ქულით ტურნირის ერთადერთი მანდილოსანი იუდიტ პოლგარი ლიდერობს. უნგრელმა ქალმა პირველი სამი შეხვედრა პირწმინდად მოიგო და ის დასანანი ნახევარი ქულა გასულ ტურში გერმანელ დიდოსტატ ლუტცთან დაკარგა.

ამ პარტიაში პოლგარი მეტოქეს დებიუტში სიცილიური დაცვით ეთამაშა და რამდენიმე სვლაში იერიშზეც გადავიდა. თამაში ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა და 22-ე სვლაზე მოთამაშეებმა ლაზიერები გაცვალეს, რითაც ორივეს აერია წინდაწინ დასახული გეგმა. მათაც თავი აღარ აიტკივეს და სამიოდ სვლაში ყაიმი გამოაცხადეს.

დაძაბული გამოდგა ტურნირის ფავორიტ პეტერ ლეკოსა და ვიქტორ კორჩნოის დაპირისპირება. შვეიცარიელმა დიდოსტატმა არაფერი დაუთმო მასპინძელ მოჭადრაკეს და 47-ე სვლაზე ყაიმით დაუსრულა პარტია. ამ ნახევარი ქულის წყალობით ლეკომ მესამე ადგილი შეინარჩუნა.

სხვა შეხვედრებიდან გამოსაყოფია თბილისში დაბადებულ-გაზრდილ, ახლა კი სლოვაკეთის სახელით მოთამაშე სერგეი მოვსესიანის ყაიმი ებრაელ გელფანდთან. ამ შედეგის შემდეგ ორივე დიდოსტატი ცხრილში მეხუთე-მეექვსე ადგილს ინაწილებს.

**ლაშა გეგეჭკორი**



იუდით პოლგარი

ჰოკეი

NHL სტენლის თასი. პირველი წრე.

ოთხ მოგებამდე

# რუამ მინესოტა ყვანჯის ყუით მოიგერია

## დასავლეთი

### კოლორადო 2:1 მინესოტა

**მინესოტა 0:3 კოლორადო** *0:1 0:1 0:1*

**0:1 ტანგეი (4), 0:2 საკიკი (34), 0:3 ფორსბერგი (48)**

ეს მატჩის შუაგულში მოხდა, როცა ანგარიში ჯერ კიდევ 0:1 იყო. მინესოტელებმა ჩინებული 5-წუთიანი მონაკვეთი ჩაატარეს და ვეს უოლცის კოლორადოს კარისკენ დარტყმული შაიბაც თითქოს ამ ეპიზოდის კულმინაცია უნდა ყოფილიყო, რადგან ამ დროს პატრიკ რუა უკვე ზურგზე იწვა... ვინ იფიქრებდა, რომ მეკარე სასწაულებრივად მოიგერიებდა ურთულეს შაიბას. რუამ შეუძლებელი შეძლო, ყვანჯის წვერით გადაუღობა გზა რეზინის დისკს და კარი და მასთან, მთელი გუნდი გადაარჩინა. უნდა გენახათ ვეს უოლცის გაოგნებული სახე... მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს ასპროცენტიანი შანსი და ცოტა ხანში ჯო საკიკმა თავისი საფირმო დარტყმით კოლორადო ორი შაიბით დააწინაურა. ამ უაღრესად დაძაბულ შეხვედრას წერტილი პეტერ ფორსბერგმა დაუსვა.

საინტერესოა, რომ ამ მატჩს დიადი სკოტი ბოუმენიც ესწრებოდა, დეტროიტის შტაბიდან (იგი დღესაც ამ გუნდის კონსულტაცია), რათა საკარაულო კონკურენტები შეეთვალიერებინა.

### დეტროიტი 0:3 ანაჰაიმი

**ანაჰაიმი 2:1 დეტროიტი** *0:0 1:0 1:1*

**1:0 პოლსონი (23), 2:0 ჩისტოვი (47), 2:1 ჰოლმსტრიომი (55)**

საერთოდ სჭირდება კი დეტროიტს კოლორადოს დაზვერვა? საქმე სახუმაროდ აღარაა, ჩემპიონმა მესამე თამაშიც წააგო და პირველი რაუნდიდან გავარდნის საფრთხეს თვალებში ჩახედა. „წითელფრთიანებმა“ შარშან კი დაძლიეს პლეი ოფში ზედიზედ ორმატჩიანი კრიზისი, მაგრამ წლევანდელის ისტორია აღარ განმეორდა და ამაში „დამნაშავე“ ანაჰაიმის მეკარე ჟან სებასტიან ჟიგერია. ჩემპიონებს მან სიურპრიზი მოუმზადა — სამივე თამაში საიმედოდ ჩაატარა და ერთი ოდენ გოლი გაუშვა. აი, გაცილებით დიდმა ვარსკვლავმა და მრავალგზის ნაქებმა კერტის ჯოზეფმა კი ვერ გაამართლა იმედები. მეორე გოლი მთლიანად მის სინდისზეა. მატჩის ბოლოს ტრიბუნებიდან შეძახილები გაისმა — „SWEEP“. ეს სერიაში 4:0 განადგურებას ნიშნავს. მალა ჭამაში კი მოდის და, ნუთუ ჩემპიონი ასე უსახელოდ დაასრულებს პლეი ოფს?

### ვანკუვერი 1:2 სენტ ლუისი

**სენტ ლუისი 3:1 ვანკუვერი** *0:0 2:1 1:0*

**1:0 დემიტრა (22), 2:0 უეიტი (29), 2:1 მალიკი (39), 3:1 უეიტი (60)**

სენტ ლუისი მთლიანობაში ვანკუვერზე ძლიერი გუნდია. ეს შთაბეჭდილება პირველი ორი მატჩის შემდეგ ყველას შეექმნა, მერე კი უფრო გაღრმავდა. სენტ ლუისი საკუთარ ყინულზე გაცილებით დაბალანსებული გავიდა, მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი მცველი, ელ მაკინისი აკლდა. ვანკუვერი კი, როგორც ჩანს, ზედმეტადაა დამოკიდებული მარკუს ნესლუნდსა და ტოდ ბერტუცცის, რომელთა გაუვნებლებასაც სენტ ლუისი ჯერჯერობით ჩინებულად ართმევს თავს.

## აღმოსავლეთი



ფილადელფიის მეკარე რომან ჩეხმანეკმა მეორე ოვერტაიმში დასანანი შაიბა გაუშვა

REUTERS

### ფილადელფია 1:2 ტორონტო

**ტორონტო 4:3 ფილადელფია** *1:2 2:0 0:1 0:0 1:0*

**0:1 უეინრიჩი (5), 0:2 დესარდენი (9), 1:2 რაიხელი (9), 2:2 კაბერლე (23), 3:2 მოგილნი (36), 3:3 რეკი (43), 4:3 კაბერლე (88)**

ტორონტო რომც გავარდეს პირველი წრიდან, მაინც იმსახურებს ქებას და არა მარტო წლევანდელი ასპარეზობისთვის, არამედ ბოლო წლებში გამოჩენილი გმირობებისთვის. ისევე როგორც შარშანდელ პლეი ოფში, ახლაც გუნდის დიდი ნაწილი ტრავმირებულია, ოთხი მოთამაშე აკლია, ოთხიც ეს-ესაა გამოჯანმრთელდა და სერიის წინა მატჩებში დაბრუნდა. თან ესენი ყველა წამყვანი ჰოკეისტები არიან, მაგრამ ტორონტო ლომივით იბრძვის და უმძიმეს სიტუაციაშიც კი არ ტყდება. პირწმინდად წაგებული მეორე მატჩის შემდეგ კანადელებს არც ამჯერად გაუმართლათ ბედმა, დასაწყისშივე 0:2 აგებდნენ, მაგრამ საქმე მაინც მიიყვანეს ოვერტაიმამდე, აქ კი მცველმა ტომაშ კაბერლემ ისახელა თავი.

### ოტავა 2:1 აილენდერსი

**აილენდერსი 2:3 ოტავა** *2:1 0:1 0:0 0:0 0:1*

**1:0 იაშინი (9), 1:1 უაიტი (19), 2:1 რობიტაილი (20), 2:2 ფილიპსი (40), 2:3 უაიტი (83)**

აქაც კანადურმა კლუბმა იმარჯვა, თანაც მეორე ოვერტაიმში. გამარჯვებულის გოლის ავტორმა ტოდ უაიტმაც დუბლი შეასრულა.

**სამველ ღარიბიანი**

# ამხანაგური

ტოკიოში გამართულ ღიაცისქვეშა სანახაობაზე, აუარებელი ხალხი ესწრება სუმოს დიდ ფესტივალს, რომლის მონაწილეებიც არა ნამდვილ ბრძოლებში ეპაექრებიან ერთმანეთს, არამედ ათასგვარი მოქნილი ილეთებითართობენ მაყურებელს. ხალხი უთვალავი შეკრებილა და სუმისტებსაც უჩაუქიათ.





REUTERS ტოკიოდან

# მარცხი



REUTERS ვინიპეგიდან

დამწუხრებულა კანადელ მოკარლინგეთა კაპიტანი კოლინ ჯონსი. მისი გუნდის ჯაგრისებს ვერაფერი გაუწყვიათ ამერიკელთა ჯაგრისების წინააღმდეგ და კანადას 3:5 წაუგია ვინიპეგში მიმდინარე კარლინგის მსოფლიოს ჩემპიონატზე, დედას კი ვაჟი, ლუკი ამშვიდებს.




REUTERS მიუნხენიდან

# ამ ქალაქს სურს

გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროდერი გვამცნობს, რომ დიდებულ ქალაქ ლაიპციგს 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს. ლაიპციგს შიდაგერმანულ ჭიდილში დაუმარცხებია ჰამბურგი, დიუსელდორფი, ფრანკფურტი და შტუტგარტი, 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძელს კი ოლიმპიური საქმის მამები 2005 წელს გამოავლენენ.

# რბოლის შემდეგ

ჯოშ ბროლინი გახარებულია და თავის ქალიშვილ ედენსა (მარჯვნივ) და თავისი ცოლის, მსახიობ დაიან ლეინის ქალიშვილს, ელინოშის ეფერება. ბროლინს მეხუთე ადგილი დაუჭერია ტოიოტას სახელგანთქმულ, ათწრიან საქველმოქმედო რბოლაში, ლონგ ბიჩზე რომ გაიმართა უკვე ოცდამეშვიდედ.




REUTERS ლონგ ბიჩიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარუჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge